


ს ა გ გ ა ფ ვ ი ლ გ უ რ ე ა ლ ი

# ნ ბ ბ ა ზ უ ლ ი

მ ა მ ა მ ა მ ა  
ა მ ა მ ა მ ა მ ა



POTTER

ଶିଳ୍ପାଳୟ



36136360  
402300034

I	— მოსავილი. — ი. ბედიაშვილისა . . . . .	3
II	— ერთი უყურეთ ტყესა-და — გაფა-ფშაველასი. . . . .	5
III	— განთიადის მოლოდინში. — ცქვიტისა . . . . .	9
IV	— ცელჭის დღიურიდან. — (გამჭურტონისა) იასონ ნაკადაშვილისა. . . . .	14
V	— მუხა. — დექიმ ი. მეტელიაშვილისა. . . . .	21
VI	— მიღლოერი ლომი. — (რომაელია თქმულება) ვ. სკეტლოვის, ერ. ანტონოვისკაია . . . . .	23
VII	— წმ. ვერონიკას ჩადრი. — (სკამა დაგენდუფისა, ბაზრებება), პ. დ. — ძექი . . . . .	36
VIII	— ვასილ მოსეს ძე პეტრიაშვილი. — ილია ნაკაშიძისა . . . . .	44
IX	— ივანე რამაზის ძე თარხნიშვილი. — ა. მაქაბერიძისა . . . . .	48
X	— ბორტანიკური სტებარი. — (გაგრძელება) სოდე. ქურდიანისა . . . . .	53
XI	— მითოლოგი. — ტროპადის თმი, (შემრადება) ა. მაქაბერიძისა . . . . .	56
XII	— გასართობი: — ა) შირადი, — ბ) ხილხური ლექტი, (წარმოდგენტლი თეო კანდალაკის მიერ). — გ) გამოცანები, — დ) თვალთმაქტობა, — ე) რებუსი . . . . .	62
XIII	— ბიბლიოგრაფია. — ნ. დორთქევაზენაძისა.	

# ବେଦପାଠୀରୁକ୍ତିର

၁၃၀၂၁၇၃၀၂၃၂၂၁၆၁၂၀

ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ ՅԱՐԱԳԵՐ



Ms. A. 8. 6. 60, 1908 v.



କୁଳିଲୋହ, ଉଦ୍‌ଯେତରଙ୍ଗରେ କ୍ରମିକ ପାଇଁ ପରିଚୟ କରିବାକୁ ଅନୁରୋଧ କରିଛନ୍ତି।



## შინაარსი

I—მოსაფალი.—ი. ბეჭაშვილისა . . . . .	3
II—ერთი უცურეთ ტყესა-და—გაერმავედასი . . . . .	5
III—განთიადის მოლოდინში.—ცქარისა . . . . .	9
IV—ცელების დღიურიდან.—(გაბერტონისა) იასონ ნიკო- ლაშვილისა. . . . .	14
V—მუხ.—ლექსი . . . . . შეკვეთიშვილისა. . . . .	21
VI—მადლიერი ლომი.—(რომაელთა თქმულება) ვ. სვეტლი- ვისა, ელ. ანტონოვისა . . . . .	23
VII—წმ. ვერონიკას ჩადრი .—(სეღმა დაბერლევისა, გაგრ- ძელება), პ. დ—ძესი . . . . .	36
VIII—ვასილ მოსეს ძე პეტრიაშვილი—ილია ნაკაშიძისა .	44
IX—ივანე რამიზის ძე თარხნიშვილი.—ა. მიქაბერიძისა .	48
X—ბოტანიკური საუბარი.—(გაგრძელება) სოლ. ქურდა- ნისა. . . . .	53
XI—მითოლოგია.—ტროადას ომი, (შებრალება) ა. მიქ- ბერიძისა . . . . .	56
XII—გასართობი:—ა) შარალა,—ბ) ხალხური ლექსი, (წარ- მოდგენილი თეთ კანდალაქის მიერ).—გ) გამოცანები,— დ) ოვალთმაქტობა,—ე) რებუსი . . . . .	62
XIII—ბიბლიოგრაფია.—ნ. დორთქიფანაძისა.	



## მოსავალი



ენი კირიმე, თაველო,  
ჩაშწიფებულა პურები,  
როგორ ბიშვინავენ მზეზედა  
ზედ ნამის ღანაპკურები!

2/9


—  
არაფერი სჯობს მის ნახვის,  
დიდებულია ყანები,  
უფალმა ღმერთშა ცეურთხოს,  
მათ მომყვანს ვეთაყვანები!

ბევრჯელ ვყოფილვარ მინდვრადა  
შშიერი მონაწყურები,  
მაგრამ არ მახსოვეს ის ტანჯეა  
რაკი კარგია პურები,

—  
შენი კირიმე, თაველო,  
ვატყობ მომიხვალ ბლომილა;  
იქამდე მჰადიც ვერ ვჭამე  
გაბედვით გასძღვმალა!!

ଶ୍ରେଣୀ କୁରୀମ୍ଭେ, ତାପ୍ରେଲିଂ,  
ନିଜରୀଂ ଶ୍ରେଷ୍ଠରୀଙ୍କ ଉଲଳ୍ଳା,  
ମ୍ଯାନ୍ ଫରନ୍କ୍ରୀଂ ଫରାଲିଲିନ୍ଗ୍ରେ  
ସିମଲ୍ୟରୀଙ୍କ ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟରେ!!

ନ. ବ୍ୟାକ୍ ପ୍ରକାଶନ





## ერთი უყურეთ ტყესა-და!



რო ლროს სახელოვანი, ნადირით განთქმული, უზარ-მაზარ სიცრცეშე გადაჭიმული ტყე გახმა; დაედო შეი, საზარელი ფერი; სამარესთან მი-ტანილს, კუბოში ჩისცენტრულს, დასამარხავალ გამზადებულს ცხელარსა ჰგვანდა. გაწყდა ნა-დირთა და ურინველთა ხსენება. აღარ ისმოდა იქიდან შემოდგომით გულის მინათობელი ხარ-ირმის ყვირილი, აღარც შელის ხევილი, აღარც ტურის ჩხავილი და აღარც ყმუილი მშერის მგლისა. მთელი ტყე რომ შემოგველოთ, თა-ვიდან ბოლომდე, ერთვან ვერ შენიშნავდით რაიმე ცხოველის კვალს, შაშეისაგან გადაქექილს ხმელს წიფლის ფოთოლსაც კი ვერსად ნახავდით. მონადირენი შორს მიურბოდნენ ქხლა ტყეს. დაშრა ციფი წყაროები, მოჩუხჩიუხე ხევები, ნაკადულე-ბი. მოკვდა ტყე, მოკვდა. ტყის სიცოცხლისა და სიმწვანის მომსწრე მგზავრები გულში მუშტი იცემდნენ, თავებს ძქო-იქით აქნევდნენ და ერთ-ხშად იძახოდნენ: „აააშ, რა ტყე გა-ფუჭდა, რა ტყე დაილუპა!.. აფსუს!..“ იტყოდნენ გულ ჩა-თუთქულნი და გაუდგებოდნენ თავიანთ გზას.

იყო, კარგი ხანს იყო ტყე ამ მდგომარეობაში. გრძნობდა კარგიდ თავის უბედურებას, ემდურებოდა მუხთალს ბედს, ტი-

როდა მწარედ თავის-თავს, ხოლო მის ცრემლებს ვერ ამნივე-  
და ვერაქინ. ჩამონადენი ცრემლი კუპრიით მშევებდა დაბლა  
დედა-მიწის. მთელი დღე და ღამე ლოცულობდა: ლმერთო,  
ლმერთო! რად მომისპე სიცოცხლე? რა დავაშევე, უფალო?  
ნეტავი ვიცოდე, რა დავაშევე? მაპატივე, უფალო, ჩემი და-  
ნაშეული, დამიბრუნე სიცოცხლე, ან თუ არა, მომისპე გრძნო-  
ბა სიცოცხლის სურვილისა, მომელი, რომ აღარაფერს ვვრდნო-  
ბდე. აააა, ლმერთო, ლმერთო, შე დალოცელო, დაილოცოს  
შენი სახელი და სამართალი! ბურბურებდა ტყე და თან ლვრი-  
და ცხარე ცრემლებსა...

თუ არ მაცოცხლებ, უფალო, ამარიდე შე და მთვარე,  
აღარ მესიამოვნება იმათი სხივები, მაბრაზებენ მხოლოდ  
ესნი; მომაშორე შუშუნა წყიმა, მჩვდეტავს ეკალივით მისი  
წვეთები.

შორს, შორს სადღაც ჰედავდა ამწვანებულს, იყვავე-  
ბულს მთა-ბარს და ტყეებს... დამთხარე მაშ, ლმერთო, თე-  
ლები, რომ ვერა ენახო გულ-საკლავი სურათი...

გაზაფხულზე მოსულს მის თავზე მიმფრინავს გუგულს  
ეპატიებოდა თავისთან; ეპატიებოდა გადამივალს ქედნებს;  
ბუსაც კი, უბედურს ბუს ყელს უწევდა, და ეძიხდა თავის საწ-  
ყალის, უბედურის ხშირ. ვამხმარ ტყის უბეში შორს მიმრბი-  
ნალს ხარ-იჩემს ხელს უქნევდა, ჩოხის კალთების ქნევით თა-  
ვისთან იპატიებდა, მაგრამ ამაოდ... ყევლა მიურბოდა, უფ-  
რთხოდა ტყეს, შორს, შორს. აღარავინ ეკარებოდა.

იქნებ სიცოცხლე დამბრუნებოდა, იმბობდა ტყე, ფრინ-  
ველნი და ნადირნი რომ არ შემომწყვრომოდნენ?! დამანე-  
ბეს იმათაც თავი, წინად კი ვუყვარდი, შემომფონებდნენ რო-  
გორც შვილები დედას, ჩემს კალთაში თავსა ჰევევდნენ. უყუ-  
რე ეხლა: მნახეს რა გააწყლებული, შემომეფანტნენ. იღირ  
უნდათ მნახონ, თვალს მარიდებენ. ან კი რად მიკეირს?  
რად ვემდეურები? მე რომ ჩემი თავი მეჯავრება, მებრალება,  
ისინი რისოვის ლა შემიყვარებენ, რილის გამოელიან ჩემგან?

აღარსად წყალი ჩემს მიღამოს, აღარად ბალახი, აღარსად ფო-  
თოლი! იქნება ვებრალები? მაში რატომ არა ტირიან და თა-  
ვიანთ გოდების ხმას მეც არ გამაფონებენ? მაშინ ხომ გულ-  
ზე შემოწოლილი ბოლმა მეფონებოდა, ცოტა ხანს დავისვე-  
ნებდი...

განცლო ხანში. ხალხი, მთელი ქვეყანა, სოფელი და ქა-  
ლაქები შეინძრა, ათოთქორდა: ჩმა გვარდა,—ხმელი ტყე აბი-  
ბინებულა, აყვავებულა, ისეთი მშეენიერი სანახავია, აღამი-  
ანი თვალს ვერ მოაშორებს, ავსილა ნიდარით და ფრინვე-  
ლებით, სამოთხეს დაშმგასტბით. დიდი და პატარა, ასის  
წლის მოხუცებულნი მიეშურებოდნენ გამხმარი ტყის სანახა-  
ვად. აყვავებული, აქრელებული ათასნაირად ხალხი როგორც  
მუმლი დასტრიალებდა ტყეს თავზე, სწირავდა ღმერთს მაღ-  
ლობის. ისე უბრწყინვადა ყველას სახე, თითქოს საიკონდან  
მოსკელოდა ყოველს მთვანეს საყვარელი არსება. ტყეს მრი-  
ალი, ბიბინი გაპქონდა. რაც ხმელობის დროს ძალა აკლდა,  
ეხლა ერთი ათასად შეევსო. მართლაც ავსილიყო ნადირებით,  
დანაერდობდნენ აუარებელი შვლები, ირმები... ფრინველების  
ეკვილ-ხიდილი ადამიანს აყრუებდა. ხევები, დამშრალი ხევე-  
ბი საამურად მოჩიუჩხებდნენ, დამშრალ წყაროებს ამოქენთ-  
ქათ. ტყეს უხაროდა. ღმერთს მაღლობას სწირავდა...

ერთი ვინშე მორჩილნე შემდგარიყო მაღლობზე და ისე-  
თი ხმეთ გაპჟიფოდა, რომ დედა-მიწა იძეროდა: „ურწმუნონო,  
ხომ იხილეთ ძალა უფლისია? ასევე აღადგენს უფალი შევდარ-  
სა, როგორც აღადგინა გამხმარი ტყე. დიდებულ არს სახე-  
ლი უფლისა!“ ხალხი პირ-ჯვარს იწერდა და ერთ-ხმად გაი-  
ძინდა: მართლაც, ერთი უყურეთ ტყესა-და! დიდება შენდა,  
უფალო!

გზად მიმავალი მგზავრი, რომელსაც ენახ შარშან და  
ჰირშან წინ გაუდაბურებული ტყე, სიამოვნება გადაფენილის  
სახით, გაბრწყინებულის ოვალებით ღმერთს მაღლობას სწი-  
რავდა და ისიც იმას ამბობდა: ერთი უყურეთ ტყესა-და!

ხოლის ტყეს ვეღარ აშორებდა თვალს, ყველა საჭირო და დარჩენა, ეზარებოდა სახლში დაბრუნება.

ერთს საკუირელების მეორე მოჰყვა: ციდან ჩამოეშვა  
ხშირი, გრძელი თშით, თითქოს ნისლში გახვეულო, პატარა  
ტანის ქალი ღვთიურის სახით, ღვთიურის თვალებით. ტან-  
ზე ჟვავილების და ფოთლების კაბა ეცვა. ჩამოეშვა ციდან  
და ჩაიძალა ტყეში.

„ტყის ანგელოზი, ნადირთა პატრიონი!“ გისმა ხალხში ხმა. ყველამ პირ-ჯვარი გმოისახა. „ლმერთო, ნუ მოკედებ უნს მოწყვალებას ტყესა; ლმერთო იღლევრძელე და აუცხლე!“ ამბობდა ხილი.

სახლში რომ დაბრუნდნენ, თვითეულის სახე სიმოვნე-  
ბის შეით იყო გაბრწყინვებული: მოქადან მკაფიოს აღდგე-  
ნის, დარჩეულდა ყველა რომ შესძლო ყოფილი აღდგენა  
მკაფიოსა.— ყველა განვებას ლოცავდა, რომ უსამართლოდ,  
უბრიალოდ არაურის დამნაშევე ტყე არ დაისაჯა, არ დაიტან-  
ჯა სამუდამოდ, — ყოფილა სიმართლე და დაჯილდოვება ამ  
სიმართლისა.

ამ რად უხაროდა სიერთოდ მთელს ქვეყანას და რისთვის გრძნობდა თავს ბედნიერად.

ଓଡ଼ିଆ-ଯୁଦ୍ଧକ୍ଷେତ୍ରା





## განთიადის მოღობინში



რთი ციცქნა, ციცინათელის მსგავსი ილიკო ბელ-  
ტებში არ ირჩეოდა. პაწია ფარაჯაში გახვეულს ზურ-  
გი ტყისთვის შეეჭირა და შიშისხვინ თრად მოკუნ-  
ტულს თავი გუთნის ქვეშ შეეყო. შავი ღრუბლე-  
ბით მოქუშული ცა არე-მარეს სევდასავით ჩამოსწო-  
ლოდა და ჩამოებნელებინა. ირგვლივ სულგაკმენდილ  
ტყე-ველს შორით ქოტის მყენხე ძახილი და ბაყაყ-  
თა განუწყვეტელი ყიყინი მის იდუმალ სევდას თითქოს აორ-  
კეცებდა და უარესად აყურსებდა. მის ქვემოდ კი მოქანცულ  
სოფელს მიბნედილივით ჩასძინებოდა. გულ ჩათხრობილს,  
სულ გაკმენდილს დღეს თითქოს განგებ არავითარი სულიე-  
რი არსება თავს არ აწყენდა, არ ურღვევდა წყვდიად სიჩუ-  
მეს; თითქოს ყველას დავიწყებოდა, გარდა პაწია ციცინათე-  
ლებისა, რომელიც ყველა ჩაბნელებულ მის კუთხეს ნაძერ-  
წყლებივით ისე მოსდებოდნენ, გეგონებოდათ, მთელს სო-  
ფელს უალო ცეცხლი მოსდებია და უჩუმრად იდაგებათ.  
ილიკოს თუმცა ჯერ არ ეძინა, მაგრამ გულ-შემხარევ სიბნე-

ლისათვის თვეოლი ვერ გაესწორებინა და იმისათვის ხუჭავდა თვალებს. თანაც სცდილობდა ძილისათვის თავი მიეკა, შეგრამ შიშის გამო ტირილით მოღლილს ძილი არ ეკარებოდა.

— ღმერთო! შენ მიშვევლე, რიერავს მომასწარ, შენი კირიმე,—ჩუმიდ კრძალვით ეველრებოდა პაწი და გუთნის ქვეშ ითრთოლებული თან-და-თან უფრო იბლუნძებოდა.

— იმ უსამართლო მამა-ჩემმა რაც დამტოვა მარტოვა? როგორ უნდა ვუყაროსულო ამ ვერინს, როცესაც ასე მეშინიან როდესაც ასე ჯოჯოხეთივით ბნელა და სწორედ ამ დროს ტუებინდორი მგლებით არის საესე? მე რას გავაწყობ მშიერ, პირდალებულ მგელთან, რითი უნდა მოვიგერო მე უბედურმა, როცესაც ხელში დიდი სახრეც კი ვერ მომიმარჯვებია; ჩემს გარშემო კი ტიალ ბედზედ არც ლამის მეხრე და არც მეველე ახლო-მახლო არ ფარიზობს. აჲ, ღმერთო! დროით მაღირსე ი რიერავს და მერე კი...

ამ დროს რას პირიად ყალყზედ დამდგარ ვებერთელი ბელტს ხნულში ზღართანი მოსძრა და ამ ხმაურობამ თავზარ დაცუმულ ილიკოს ქრისტელი მოვგვარა, ენა დაუდუმა, სმენად აქცია. ოფლში გაწურულს ფარაჯის ქვეშ სული უგუბდებოდა, გული საცოდავად უფრთხილებდა, მაგრამ ვიწრო გუთანს, მის ერთად ერთ მხსნელს და მწამებელს უფრო მაგრა გვერდში ეკვროდა და ცახცახიდა. იყო რამდენიმე ხანი ასე სულ განაბული, სმენად ქცეული. დიღხანს ელოდა რაღაც განსაცდელს, მაგრამ რაკი არავითარი ხმაურობა იღარ გამეორდა და ფარაჯის ქვეშ სულს ველარ იტრიალებდა, ფარაჯიდან თავი ნელა გამოყო, გრილი პატრი კრძალვით შეისუნთქა, სული მოიბრუნა და ისევ ყურები ცქვიტა.

— ქვითკირო, ქვითკირო! — შემოსახა მოულოდ ელად აქამომდე ჩაჩუმებულმა მწყერმა ზემოდ ყანაში და თეის ქუკ-ქუკით ილიკოს რაღაც იმედი და შეღავათი იღმოუჩინა.

— ვაი, შე თხერო, შენ შემაშინე განა? ან საღ იყავი აქამდინ, შენც რა ჯიბრზედ ხმა ჩაგიწყვეტია? — იდნავ ჩიო-



ბუტბუტი გამხნევებულმა ილიკომ, გუთნიდან ქვემოდ ჩამოიწია, თავი ნერა წითოყო და სოფელს ჩაპერდა.

— ვამე დედა, კიდევ რა ბნელა, რა მეშინიან! ეს ოხერი აბა თუ ერთი ძილის ცეფა მაინც ისმოდეს. ი სოფელი ასეა მიყრუებული, თითქოს ცელიანი ამოწყვეტილიყვნენ. რა ვქნა, რა ბნელა, რა მეშინიან! ნეტავი პიტარა პელის, რომ დედი-ჩემის გვერდით აევანში უდარდელად წევს და სძინავს! მე კი ლამი გული გამისკდეს, ლამის გავგიედე. ნეტა ვიცოდე, რაზედ მტანჯავენ, ვის რაც უნდა ფრთა ჩამოვარდნილი გუთანი, ან ე დაძონძილ-დაქონკილ კავნის დარღი ამ შუალაშისას ვის გასწყვეტია, რომ ყარაულადაც მაყენებენ?.. ლამის გამაციოს, ისე მავანკალებს და მეშინიან. ღმერთო, ღმერთო ძლიერო! დროით მაღირსე განთიადა, თორემ მანამდინ იქნება სულიც კი არ დამყვეს... შიშით მოცკვდები.— ჩურჩულებდა გულამოსკენილი ილიკო და ისედაც სცელ ბელტებს შეხვილი ცრემლებით უფრო ალბობდა.

— მე რა ყარაულობა შემოძლიან, — ვანაგრძობდა სლოვინით სანდურავს ილიკო და ამ სანდურავით თითქო გულის ბოლმას იქლავდა, სულის იბრუნებდდ. — რა ყარაულობა შემიძლიან, როდესაც ცელიანი კურკანის მეძახიან, როდესაც ჯერ ცხრა წლისა ძლიერა ვარ და ის ბებერი გაძახის, ჩემი ამბანაგი და ძმა ეხლა შენა ხარო. აბა მე როგორ კუშველი იხვნა-ფარცხვაში, როდესაც ხბორების მოვლის მეტი არა. გამეგება-რა. ისინიც-კი არ მეპოვებიან, ცხარე ცრემლით მატირებენ ხოლმე. ფეხები დახეთქილი მაქვს იმათ დევნა-რბენა-ში. ან რა და ეხლა ე გუთნის მოპარვაც რომ უნდოდეთ, მევინ რას მათქმევინებს, ვინ შემეპოვება. ერთ ისეთს წიმკრავენ, რომ იქნება იქვე სული გამანთხვევინონ. ის კი... ვაიმე, დედა! ღმერთო მიშვევლე!.. ეს-ლა მაჟლდა, იმისმა ლხრობამ... — წამოიკენსა უეცრად, თვალებზე ხელები მიიფარა და გუთნის ქვეშ პირქვე ისევ დაემხო, რადგანაც ამ წამ ელვა ცე-ცხლისფრად შავ ღრუბელში ტალკვესივით გამოიკლავნა;

ბნელით მოცული მიღამო აანთო, ააპრიალა; შემდეგ დასკე-  
ქა, დაპგრიალა, მთა-ბარი აალრიალა და ძილი უფრთხო. ჰა-  
ერი ინძრი, ათამაშდა, ქარად გადაქცა... მიჩუმებულ ტყეს  
შეესია და ააჩურჩულა; შემდეგ გამოჰერა, ქედებს მოედო,  
შეაშფოთა, შეეხმაურა, მინდორს დაპნერა და გუთანიც მწა-  
რედ შეაზმუკუნა. კუკური წვიმა ზეცას მოსწყდა, მიწას ზოე-  
დო და ნაკადულები ააჩურჩუხა.

წვიმდა დიდ ხანსა. კა კი ისევ ისე გრძელნავდა და გრია-  
ლებდა, თითქოს გუბეში მწოლ ილიკოს თავზედ ჩამონგრევას  
და განადგურებას უპირებდა. ის კი პირქვე მწოლი ძალზედ  
თრთოლავდა, თუმცა ეს თრთოლა ამ წამს სიბრაზეს გამოე-  
წვია: იქიმობდე შიშისაგან სულ გაკმენდილი, ებლა მოუთ-  
მენლად ხვნეშოდა და კბილებს აკრაჭუნებდა. იგერ კიდევ  
ერთხელ დასკექა და მისმა რიხმა თითქოს ილიკოს რიხიც  
გამოამერავნა.

— შენ უგრე იქექე, ჩამოინგერ, მაგრამ მე კი აქ არ  
მოვკედები, ოხრად დაურჩეთ ყველა ესენი, აღარ მინდა ყა-  
რალულობა! — შესძიხა ხმა მაღლა და წყვილა კრულით გუთანს  
ზურგი იღრიყა. მორბოდა გამწვავებული, მოხტოდა ხვნეშით,  
თუმცა ელვისაგან დაბრძოვებული მიწაზედ ბევრჯელ იშხლარ-  
ტებოდა, მაგრამ ისევ მალე დგებოდა და უფრო გამეტებით,  
სველი კალთების ტყლაშა-ტყლუშით მერცხალივით მოპრია-  
ლებდა. გზა დაბნეული ჩიგნარის ხევთან უნებლივ შესდგა,  
სიბრაზისაგან აღარ იცოდა, რა გადაეწყვიტა, — უკან დაბრუ-  
ნებულიყო, თუ უშველებელ ხევს შეპბრძოლებოდა. იდგა  
ხევის პირად და პაწია მუშტებს მედგრად ამოძრავებდა, თით-  
ქოს ვილასაც ემუქრებოდა.

— აი, შე ტიალო, უგრე იქუხე, იგრიალე, ჩამოინგერი!  
რახან ჯიბრია, მეც აქ დავრჩები, არ მეშინიან! შენ კი იქუ-  
ხე, თუ გინდ მომკალი, უფრო კარგია, ერთხელ ხომ მაინც  
მოვკედები და ნურც დავრჩენილები მაშინემსავით დალონე-  
ბული და უბედური, აღარ მეშინიან, არა, გესმის?.. რადგა-  
ნაც აჲა... იგერ მამალიც ყივის, განთიადი ყოფილა და ახლა

კი მალე დაგიბრმავდება შენ ეგ თვალები! — შესძინა მარტინ გამხნევებულმა და მისი ზარიერი მოწყრიალე ხმა მამლის ყოვილს გულში ჩაეკრი და ორივე ერთად არე-მარეს მოედო.

გირიერიაფდა. მოკრიალებულ ცაზედ იღმოსაველეთით მხოლოდ ერთი ნაკერი შევი ღრუბლისა, ზანტად უურავდა. ისიც თან და თან ფერს იცელიდა, თითქოს სირცხვილით წითლდებოდა და უმჩნევლად, საპნის კვნიტსავით ილევოდა. ცა კამა-კამებდა. ვარსკელავნი ნელ-ნელა ქრებოდნენ, ამ დროს მთის იქით ხევის პირდაპირ განთიადის წინა-მთარბედმა შუკრ-ვარსკელავმაც ამოანათა. ამოძერა ნელა, კოხტად, მოციმუმე, უშველებელი და ტყის წვერებში ცეცხლის მსგავსად გაღვიებულმა პატარა ილოს დალლილ თვალებში ტკბილად შეს-ტინა.

ଓঁজোগ





## පෙරිප්පා පැවතුණුවන්

(ಗಾರ್ಡೆನ್‌ಹಾಬ್‌ನಿಲ್)

IX

ლომის გალიკაში

იყვარელო დღიური! ყველაფერს დალიგებით მოვიყვები. ცირკი მოვიდა. მე მეტისმეტად შხიარული ვიყვავი. მხეცების გალიებს მე სულ გვერდში მოვდევდი, სანამ ქალაქში ჩიტანდნენ. რამდენი მხეცი იყო!.. იბა დათვალე: ჰიპოთეტიკი, მარტორქი, ორი ცოცხალი სპილო, უირაფირი რა სისაცილოდ ყლაპავს საჭმელს! საშინელი გრძელი კისერი

აქვს! ერთი საშიშირი ვეფხიდა თარი ლომი. ამბობენ, ვიღაც თავზედ ხელ-ალებული დალრენილ პირში თავს ჩაუდებსო. ხომ შესკამენ! მერე კიდევ მოიყვანეს სხვა და სხვა გარეული ცხოველები. პატარა ქალებიც ბევრი ჰყოლიათ. სილაშვანით ლილის და სუზისაც კი სჯობდნენ. ისინი ისხდნენ სპილო-ებზე და კუჭიან მახინჯ ცხოველებზე. ამ, რა კარგი იყო! სამხედრო აღლუმზე ბევრად უკეთესი სანახავი იყო. აღარა-უერი მახსოვდა, ისე წარმოიდგინე, საღილის ჭაბაც კი დამა-ვიწყდა. ერთ წამს შინ შევირბინე პოლლის ხაჭაპურის ნა-კერი შეენახა ჩემთვის, უცებ გადავსინსლე და ისევ ცირკში გავიქცეცი. გადიამ სპილოებისათვის დაშაქრული პურის საყიდ-ლად ჯიბეში გროში ჩამიდა და ლიმონადისათვისაც ხუთი ცენტი მომცა. რას ვიფიქრებდი, იმ დღეს თუ რა დამემარ-თებოდა!.. ბეკეთ დროს გასატარებლად სადღაც წიგიდა. დე-დას შევეკითხე, წავიდოდა თუ არა ცირკში. „ნეტავი მე! რა უნდი გავაკეთო იქან? შიპასუხა. საკეირველია, ზოგიერთი ისე დაბერდება, რომ ცირკიც აღარ ართობს. პეტერსის დუქ-ნის წინ გავიარე და ფანჯარაში დავინახე წითელი პილპილი, მოდი, ცოტაოდენ დანაყილ პილპილს ვიყიდი, წვენის შე-საზავებლად კარგი იქნება მეთქი, ვიფიქრე და გამოვართვი. იგრეთვე დაშაქრული პურიც ვიყიდე და წარმოდგენის და-წყებამდის ცირკში გივიქცეცი. პირდაპირ მაიმუნების გალიას მივადექ და საშინჯად სილაში პილპილი შევურიე. უნდა გე-ნახათ, როგორ ცხინვება აუტეხა! კინალამ სიცილით და-კისრჩიე. ამ დროს სამხეცოს მოსამსახურის ლრიალი მო-მესმა:

— ეს რომელმა შეუყიორეთ პილპილი გალიაში, თქვე სა-ძაგელო ბავშვებო? დამაცათ, მე თქვენ, მანდ თუ მოვატანე, სულ ქოჩით გათრევთ, საპყრობილები ჩაგყრით!

შევნიშნე, რომ ბერი კაცი არა ხუმრიბდა და სპილო-ებთან გავდევრი. აქ ერთ ვეებერთელა სპილოს ხორთუმში. დაშაქრული პური ჩავუდევი; მან დიდი სიამოენებით ჩაიდეა



— ვწულვარ, რომ კისერი არ მოგტყდა — მიყვიროდა მსახური და მუშტებს მიღებებდა.

„მოტეხით არ მომტეხია, მაგრამ არც სულმთლად მოტელია“ — ვფიქრობდი მე. თავზე უშეველებელი კაპი ამომაჯდადა და გული მიღონდებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა მე მიინკირები ალაგი დაერკირე და წარმოდგენის დაწყებას ცდა და-ვუწყებ.

თავი რომ არ იმტკიცებოდა, მეტად კმაყოფილი დავრჩე-  
ბოდი. მშენებელი წირმოდევნა იყო; სუმარებიც ჩინებული  
იყვნენ. მართალი მოგახსენოთ, ძალიან კი გავწითლდი,  
როცა ერთმა სუმარამ თითო მომაშეირა და სთქა:

— აბა, როს მოგავონებთ ეს ყმაწევილი?

ხილი, რასეკვირუელია, პასუხს არ იძლევეთ.

— ის მოგეაგონებს რეზინის ტიკინს, შიტომ რომ სპილო ბურთიკით ათაბაშებდა მას დღეს.

სუკელის სიცილი წასკდა, მე კი უფრო შემჩუდვა. ჩე-  
მი ფიქრით ხუმარა ძლიერ უზრდელად მოიქცა.

ვადგებოდი თავზე. რა უშივს, მაშინ სახელმწიფო სამსახურს თავი დაანგებოს და ცირკში შევიდეს. მაგრამ რომ არ უყვარს... ჯერ გვიზარდო, მაშინ ვნახოთ!..

სანამ წარმოდგენა გათავდებოდა, მე ერთხელაც არ ჩამძინებია, სულ ვფიქრობდი. აღარა მსურს, რომ მთელში ქალაქში სასაცილოდ იმიღოს; აღარ მინდა, დღეში ასი თას ჯერ შეძახოდნენ ცელქს, კისერტებიას... სკოლას თავი დავანებე და ახლა აღარავინ გამლანდავს. ჩავეწერები ცირკში. წარმოდგენა გათავდა; მე სუზიასთან სტუმრად გავიქეცი. ვიფიქრე, თუ ვაშმად მათთან დაერჩი, სასტუმროში ხუმარებს მაინც დავინახავ მეთქი. საუბედუროდ ვაშშად არ დამიჭირეს.

— 50 ცენტი რომ მომცა, კიდევ წავიდოდი ცირკში,— ვუთხარი ექიმ მურს. მაგრამ პასუხიც არ მომცა. „ახლა შინ წადი, დაგავვიანდება. ამ ხანად ესეც გეყოფაო“ — მითხრა სუზიამ. მაგრამ ფეხიც არ მოვიცვალე, სანამ ისინი ღროს გასატარებლად სადღაც არ წავიდნენ.

— აბა, გენაცვალე, ახლა შინ გაიქცეცი და კეკიანად იყავი, თორემ დედა შეწუხდება, — მითხრა სუზიამ.

მე წავედი, მაგრამ უკვე მოვიფიქრე, რაც უნდა მექნი. ცხრა საათამდის ქუჩაში ბიჭებთან ვთამაშობდი, მერე სასტუმროს თავლიდან გადავდევრი ეტლების საწყობში, საღაც იდგა მხეცების გალიები. ვეტოტყდი ერთ ურემზედ, თავიანუებიანად გავეხვივ რაღაცა ჩულში, დავწექი და ცდა დაფუშვე. ვიცოდი, რომ ცირკის პატრონი ლამის ორ საათზე აპირებდა წასვლას, — ასე ამბობდნენ მოსამსახურეები, — შეც მათთან წასვლა გადავწყვიტე. ხვალ რომ შნახვენ ვეტყვი, საწყალი ობოლი ბავში ვარ და მათი ხელობა მინდა ვისწავლო მეთქი.

ისინი რასაცვირველია მიმიღებენ და ერთი კვირის შემდეგ დაბეჭდავენ აფიშებს: „ცხრა წლის საკეირველება! პატ-

რა ეორეიკი, რომელსაც გაკვირვებაში მოჰყავს შემოტკიცვებული ყანა ჯამბაზური ხელოვნებით!“ თუმცა ძალიან ვეპალე, არ დაშინებოდა, მაგრამ მალე დამეტინა. გამომედვიძა ურემი მიგორავს. ჩემს თავზე ვარსკვლავები კაშკაშობენ. ციცა! რყევისაგან გვერდები მტკიცა. სულ სხვაა შინ! რბილი ქვეშა-გები, სუფთა საბანი... ტირილი მოშერია. ძილში მესმოდა, როგორ იგინებოდა და ცხენებს მათრასს უტყულაშუნებდა მთერალი მეტოლე. გათენებამაც მოაწია; გზის პირას გვხედებოდა ლობები, ბუჩქები, ხეები. მე ცოტა წამოვიწიე—დან-ძრევა არ შემიძლია: ხელ-ფეხი მთლად გამშეშებოდა. ვიღა-ცამ ჩემს მახლობლად დაიღრიალა. გულის ცემა შემიწყდა! განძრევას ვეღარ ვძედავდი. მხოლოდ ცოტათი გავწიე თავი განზე. უფალო, ლმერთო ჩემთ! ჩემს გვერდით ლომი იწვა! მე შემძერალვიყო იმ ურეშში, რომელშიაც ლომის გალია იყო. ლომი გათხლაშულიყო მუცელზე, ტუჩი წინა თათებზე დაედო, თვალებში მომზტერებოდა და თავის მწვანე თვა-ლებს იანკურებდა, თითქო იცინისო. საყვარელო დღიურო! მე არასოდეს არ დამავიწყდება ის წამი, თუნდ ისე დიდ-ხანს ვიცოცხლო, როგორც მათუსალამ... როცა ლომშა უცებ დაიღრიალა. სიტყვებით ამას ერ გამოსთქვავ. წარმოიდგინე ეორეიკი და ლომი ერთად! თან და თან ნათდებოდა. ლო-მი იწვა და თვალს არ მაშორებდა. გაეინძრევი თუ არა, მა-შინვე დაიღრიალებს; შიშისაგან მთლიად დავიძნი. ვწევარ და ვლოცულობ. მომაგონდა დედა, ლილი, ბეკი, მომიგონ-და, რა კარგად მეპყრობოდენ ისინი, და რა საზიზრიად მო-ვიქეცი, შინიდან რომ გამოვიპარე. ლომში კი წევს და თვა-ლის კანკურით მიცერის, თითქო მეუბნება: „ახლა გვიან-დაა, ძმავ! აღრე უნდა გვფიქრა, საყვარელო ეორეიკ! დამა-ცა, მოვიდეს ჩემი საუზმის დრო, შენ თუ ლუკმად გადაგ-ყლაპავ“.

იო, უბედურება! წამები საათებად მეჩვენებოდა. მზე კა

ხანია იმოვიდა; ლომშა კუდის ქნევა და კლანჭების სულიერება  
დაიწყო. მე გრძნობა დამეკარგა.

როცა გამოშელეიძა — ბალისზე ვიწევი. ჩემს გარშემო  
რამდენიმე კაცი იდგა; ერთი მათგანი პირზე წყალს მაპკუ-  
რებდა. მე წიმოვჯევი და ვეკითხები:

— განა ლომს არ შევუქამივარ?

— კინალიმ შეგვამა, ძმით! — მისასუბა მეტლებ.

რა ეშმაკმა შეგაგდო ციცერონის გალიაში?

მეც ვუამბე, როგორ შევძერი გალიაში, როგორ მინ-  
დოდა ჯამბაზად გახდომა. სუსველიმ გადიხარხარია, და მირ-  
ჩიეს დედასთან დაებრუნებულვიყავ.

— ძალიან გადარჩი, — მითხრა მეტლებ. — ჩენ ბებერი  
ციცერონი ფურგუნში მიტომ დაეტოვეთ, რომ შეუძლოდ  
არის. მაგრამ ამ ჩაგაგდო შენ მის გალიაში — სწორედ არ  
მესმის!

თურმე გალიის კარი მე ურმის კარი მეგონა და თხეი-  
ნად დავწევი კუთხეში. გზაში, როცა მეტლებ ლომის ღრია-  
ლი ვაიგონა, მოიხედა და, დამინახა თუ არა, კინალამ გული  
შეუწეუდა. მაშინვე გაალო კარი, გამომათრია და ლომს სახ-  
რე სთხლიში, რომ გამოხტომა არ მოესწრო.

ბოლოს, როცა ვაიგეს, საქმე რაშიც იყო, დამშეიდ-  
ლნენ და გზას გაუდგნენ. მეტლებ გვერდით დამისვა და  
მეორე ქალაქში ჩიმიუვანა. ახლა ცირკი და ჯამბაზები სრუ-  
ლიად მომბეზრდა.

იმავე დღეს, დალლილ-დაქანცული, გვიან სიღამოს დავ-  
ბრუნდი შინ. ჩემი მშობლები, როცა თავისი ცელქი, კისერ-  
ტებია დაინახეს, სიხარულით ალარ იყვნენ. თავის უძლომ  
შვილს აღტაცებით მიეგებნენ. ვახშიმი მომიტანეს ლორი,  
მოხრაკული კარტოფილი მურაბით ჩია და თაფლი. მთელ் ჩემ  
სიცოცხლეში ისე გემრიელია არ მივახშიმია. ჩვენს ოჯახე

უკეთესი, ვგონებ, მთელ ქვეყანაზე არ უნდა იყოს მარტინის მიერთება სულიც არა მსურს მამას თავზე ვალგებოდე. შარითალს აბიაბს ერთი ჩემი წიგნი: „ყველაფერი ოქრო არაა, რაც ბრწყინვას“.

o. ნიკოლაი შვილი

(ଲେଖକାରୀଙ୍କ ନିଜିମୁଦ୍ରା)





## ମୁଖୀ



ମୁଖୀ ଶୋଭା: "ମେ ମେହାନିବ  
ମିଳିଲ ମିଳିଲେବିଲ ମେଫେଲା,  
ଦାଲିବିଲଟେଲି ଚିପାରିଲ ଗିନିବେଲ  
କିମ୍ବି ଯେବେଲା ବାମିମିକ୍କେଫେଲା.

ମିଳିଲେବିଲ ଶିଥିଲ କିଲିଲ  
ଫାରିଲ ପେଲା ଏଫିନ୍ଦେଲ,  
ଦା ମିଳି କ୍ଷେତ୍ର ଶର୍ମିଲିଲଟେଲି  
ମାଲମାଲ ଶୁଫରା ନିଲିଲା.

ଶର୍ମିଲିଲିଲି ଚିପାଲିଲା,  
ମାଲମାଲ ମୁଖୀ, ମେ ଏହି ମାଜିଲିଲା:

ში. გზაზედ მდებარე სოფლები და ქალაქები მოვალენი იყვნენ მიერთმიათ ამათთვის ჩაც კი დასკირდებოდათ და ან რასაც ბრძანებდნენ. ამათი მგზავრობა უფრო სეირნობას ანუ მეჯლისსა ჰგავდა. ქალაქებში მთავარი კარგი ხანს რჩებოდა. უკელაზედ გამოჩენილი და მდიდარი მოქალაქე დაუმობდა სახლ-კარს, მოსამსახურებს, საქონელს და მოართმევდა სანოვაგეს; ამასაც არ სჯერდებოდა: დაიბარებდა დღესასწაულ დღეს მდიდარ მოქალაქებს და შეაწერდა გადასახალს, რომელსაც ნებაყოფლობითი გადასახადი ერქვა.

ამ რიგად იკვებებოდა უფროსი თავისი ამალით და მონებით. ეს უკანასკნელნი ამასაც არა სჯერდებოდნენ, და ლამ-ლამობით ქუჩებში სძარცვავდნენ მცხოვრებლებს.

როდესაც მთავარს მოსწყინდებოდა რომელსამე ქალაქში ყოფნა, ანუ როცა დაატყობდა, რომ აღარა რჩებოდა რა წასართმევი, სხვაგან გაეშურებოდა. ამ რიგი მგზავრობით ის მდიდრდებოდა, და ამიტომ ნელ-ნელა მიღიოდა, რადგან წელიწადი წამოსცვლის დღიდან კი არა, იმ დღიდან ითვლებოდა, როცა დანიშნულ ილაგს მივიღოდა.

ანდროკულის ბატონი შეა ხნის კაცი იყო, ჯან-ლონით სავსე, ამპარტავანი, ძალოვანი, სასტიკი და უწყალო ზნისა.

რაკი იფრიკის გამგებლობა ჩაიბარა, მაშინვე განკარგულება გასცა, ყველა რომაელი მოქალაქენი, რომელნიც ცხოვრობდნენ მის საგამგებლოში, გამოცხადებულიყვნენ სამსახურისთვის. ამთში ვინც კარგ სასყიდელს მისცემდა, იდეილად ითავისუფლებდა სამხედრო სამსახურისაგან. ეს, რასაკვირველია, უკანონობა იყო, მაგრამ ორივე მხარისთვის ხელსაყრელი; რომის სიშორის გამო არავინ იჩივლებდა და ამიტომ ბევრნი სიამოვნებით სთანხმდებოდნენ ამ უკანონ საქციელზედ.

გამგებელ, საგამგებლოს ისე იგულებდა, როგორც გა-სამდიდრებელ წყაროს; ახალმა გამგებელმაც მაშინვე შეაწერა მცხოვრებლებს გადასახადი და ყოველი ლონის ძიებით და ხერხით ართმევდა, რაც კი შესაძლებელი იყო.

გამგებელი თვისიდა სასიმოვნოდ ცხოვრობდა. ბევრსა სჭირდა, სკამდა, მეჯლისებსა და გასართობებს მართავდა და ამ რიგიდ მხიარულობდა. ნაბრძანები ჰქონდა, უცილებლად ყველანი დამორჩილებოლნენ. მონებს სულ მცირე დანაშაულისთვის მხეცურად ეპყრობოდა, უწყვლოდ სჯიდა. ანდროკლის ამხანაგისთვის ყურები დაკრევინა, რატომ ჩემი ნათევიმი ვერ გაიგონათ.

ანდროკლი ყველაზედ უაჩეს მდგომარეობაში იყო. პირველსაც ნიხვაზედ შესძულდა ბატონს ეს მონა, რადგან არაფრით არა ჰევიდა მონას: არც შეხედულომით, არც სახით, არც ხასიათით. ის მტკიცედ და სინიდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას, სისწორით იქცეოდა და არა პირვერიანით. ბატონს ძალიან უყვარდა მონების შეშინება: მრისხანედ გადახედავდა და როცა მონა შიშით თავს დალუნივდა, გაფითრდებოდა და იკანკალდებოდა, ბატონი დიდად სიამოვნებდა.

ანდროკლი არას დროს არ გრძნობდა შიშს, რადგან დანაშაული არა ჰქონდა რა; ყოველთვის გაბედვით უყურებდა ბატონს თვალებში, როდესაც ის მრისხანედ გადახედავდა, არც კრთიდა და არც კანკალებდა.

ესეთი ქცევა მონისა აბრაზებდა ბატონს.

— განა ჩემი არ გეშინიან, ანდროკლ? — ჰკითხა ერთხელ ბატონმა.

— არა, ბატონ,— გაბედვით მიუგო ანდროკლმა.

ბატონმა წარბი შეიკმუხნა და ბოროტად გაიცინა.

— გულადი ყოფილხარ, მონავ! — უბრძანა ბატონმა. რა მიხედია, რომ ჩემი არ გეშინიან და შეუპოვრად მიყურებ, როცა სხვანი შიშით კრთიან და კანკალებენ?

ანდროკლმა უშიშრიად მიუგო:

— ბატონ ჩემო! შიშობს მხოლოდ დამნაშავე. როცა დანაშაული არა მიმიძლევის-რა, რად უნდა მეშინოდეს.

— შენ, როგორც გატყობ, გულადიც ხარ და შესთან

ფილასოფოსიც, განა უდანიშაულოდ არ შეიძლება დამნა-  
შავე იყო?

ანდრიაველი წამს ჩატიქრდა.

— არა, ბატონი, ჩოგორუ შედევი არ იქნება უმიზე-  
ზოდ, ისე დამნაშევე არ იქნება უდანაშაულოდ.

პატონს არ ესიამოვნა ასეთი პასუხი.

— მაში როგორ! არ უემიძლიან ბორკილი დაგადო?

— ೬೩೮ —

— უმიზესოდ, ისე... მხოლოდ ჩემდა სასიამოვნოდ.

ანდროკული ისევ დაფიქტრდა და შერე მოუგო:

— ଏହି ପ୍ରାଚୀ, ଦୀର୍ଘବିରାମ, ଗାନ୍ଧୀ ଶ୍ରେଷ୍ଠଲ୍ୟପ୍ରେଲୋଙ୍କ ଉଦ୍‌ଦିନାଶି-  
ତୁଳନା କାହିଁର ରୀବନ୍ଧୁରେ ସିଦ୍ଧମୋହନ୍ଦିବା? ଶେବେ କୁଣ୍ଡ, ଏହା ଅକ୍ଷମିଆ ଶୁଣିବା,  
ଶ୍ରେଷ୍ଠଲ୍ୟପ୍ରେଲୋଙ୍କ ଉଦ୍‌ଦିନାଶିତୁଳନାରେ ଥରିଗିଲାଗି ଦ୍ୱାରାଦୂରିତ ହେବା, ଶ୍ରେଷ୍ଠଲ୍ୟପ୍ରେଲୋଙ୍କ  
ଲୋକିର ମିଥିପ୍ରେ ଶ୍ରେଷ୍ଠଲ୍ୟପ୍ରେଲୋଙ୍କ, ଶ୍ରେଷ୍ଠଲ୍ୟପ୍ରେଲୋଙ୍କ ସିଦ୍ଧମୋହନ୍ଦିବା—  
ଯେ ପ୍ରାଚୀରେ ଶେବେ ବେଳମୀରା ସିଦ୍ଧମୋହନ୍ଦିବା କୁଣ୍ଡରେ ଆମିନାରେ ଶ୍ରେଷ୍ଠଲ୍ୟପ୍ରେଲୋଙ୍କ  
ମିଥିପ୍ରେଲୋଙ୍କ ଶ୍ରେଷ୍ଠଲ୍ୟପ୍ରେଲୋଙ୍କ ଏବଂ ଶ୍ରେଷ୍ଠଲ୍ୟପ୍ରେଲୋଙ୍କ କାହିଁର କାହିଁର କାହିଁର

ეს სოქვა ანდრიულმა მტკიცედ და გამოდვით შეხვდა  
ბატონს. ბატონი მეტის სიახლის გალურჯდა. ეს მეტის-  
მეტი იყო! ისიც ხმა სიამოვნებას გრძნობდა სხვის ტანჯვის  
უყრებით. ამ გვარი სანიხავებით ირთობდა თეს, მაშასაღამე  
ულმობელი ან სულელი იყო თეს უკანასკნელი მონის აზ-  
რით.

ଓଡ଼ିଆ ଭାଷା ପ୍ରକାଶନ କମିଶନ ଦ୍ୱାରା ପ୍ରକାଶିତ.

— ბრძენი ხარ, მონავ! შესძინა იმან. კხედივ, რომ ბრძენი ხარ, უნდა გამოვტყდე, ძილიან მიყვარს უდანაშაულოთა ტანჯვა ვიგბა, მაშ შენი აზრით სულილი ვკოტილვარ.

— ტყუილ ბრალსა სდებ შენს თავს, ბატონო.

— არა! ჩემთვის უკეთესი სიამოენებია არა არის რა, როგორც დამიანის წვალებით შექცევა. ამაშია ჩემი სისულელე; რადგან ბრძენი ხარ, მინდა ვისწვევლო შენგან კუკა, მსურს ხშირად გესაუბრო. წალი და უთხარ მოურავს, საჯინიბოლვან სისხლე გადმოვიყენოს. სადილის დროს მეტიქიფერ. ამ

რიგად ხშირად გნახავ და გებაასები. ეფებ ღმერთებში მოწყალება მოიღონ და დავტკვიანდე ჩემი სამშობლოს და აფრიკის საიკუთოდ.

— მაღლობას მოგახსენებთ, ბატონი! მე ცხენების მოვლას გახლავართ დაწვეული ჩემს დღეში ხელზედ მოსამსახურედ არ გხლებივართ და მიტომ ვერც რიგზე, გემსახურები, მიუგო ანდროკულმა შეშინებულმა, რაღაც გრძნობდა მომავალ უბედურებას.

ბატონმა გაიკინა.

— აბა, შენისთანა ბრძენს ეგ უბრალო საჭმე როგორ უნდა აშინებდეს! წადი და განკარგულება მოახდინა.

ამ დღიდგან მონისაღმი საშინელმა სიძულილმა შეიპყრო მისი ბატონი.

მოურავმა ანდროკული საჯინიბოდგან სასახლეში გადმოიყვანა. მონამ დაანება თავი თავის ცხენებს და ეტლებს და შეუდგა ბატონის სამსახურს სასახლეში

ბატონს ამის შემდეგ აღარ ულიპარაჟნია მონასთან, თოთქოს კიდეც დაავიწყდა იმისი იქ ყოფნა. როდესიც სიძულზედ ანდროკულს ლვინით ფიალის ართმევდა, არცკი შექედავდა ხოლმე.

კეციანი და ნიკიერი მონა სიჩქაროდ შეეჩერია თავის ახალ თანამდებობას და ისე ასრულებდა, თითქმ ყოველოვის ამ საქმეს ადგა.

ანდროკული გრძნობდა, რომ ეს ახალი ალაგი ბატონმა ბოროტი განძრახვით მისცა, მაგრამ რაკი კარგა ხანმა გაიარა მშეიღობიანად, ისე აღარ შიშობდა.

ერთხელ ანდროკულის ბატონს დიდი ნადიმი ჰქონდა. მოწვეული ჰყავდა უდიდესი პირნი ქალაქისა და რამდენიმე თავისი რომაელი მეგობარი.

ნადიმი თავდებოდა, როცა ანდროკულის ბატონმა ასწაა მალლა ფიალა და ამით ანიშნა მონას, ლვინით შემიეცეო.

ანდროკულმა მიართვა ლვინო, მაგრამ იმავე წამის იგრძნო, რომ ხელი ჰკრეს. მოხვდა, რომ ბატონმა განგებ დაალვ-

რევინი, ლვინო, რადა შემთხვევა მისცემოდა იმის სასტუკად დასჯისა.

ანდროკლმა ვერ შეიკავა ლვინით საესე ფიალი, ლვინო დაექცა და ბატონის ძვირფასს ტანისამოსს გადაესხა. განრის-ხებულმა ბატონმა უბრძანა მოურავს, შებოჭე ეს მონა და ხა-როში ჩაიგდო. ანდროკლი წაიყვანეს. ამ დღიდგან დაიწყო მისი ტანჯვა—დამწყვდეული ჰყავდათ, არას აჭმევდნენ და თან სცემდნენ.

ხან და ხან ბატონი თავისიდა სასიამოვნოდ მიფილოდა ანდროკლთან მისი ტანჯვის საცემრლად და დაუწყებდა ლა-პარაქს.

— აი, ახლა ვეღარც ულმობელს დამინახებ და ვეღარც სულელს, რადგან იგი სულელი არ არის, ვინც დამნაშავე მონას სჯის, და არც ულმობელია ის ბატონი, რომელსაც სიკვდილით დასჯის სამაგიეროდ დამწყვდეული ჰყავს მონა. რას იტყვი იმაზედ, ბრძენო?

ანდროკლი არას უპასუხებდა და ეს უფრო იბრაზებდა ბატონს.

ანდროკლს ბოლოს დროს ბორკილები მოხსნეს და ერთ ბნელ ღიმით ისარგებლა და გაიპარა.

სასახლეში დიდი ნადიში ჰქონდათ რომიდგან სახელმწიფო საქმეთა გამო მოსულ სენატორისთვის. მოსამსახურენი გარ-თულნი იყვნენ სადღესასწაულო სამზადისში, დარაჯები ყვე-ლანი სენატორის ახლდნენ ანდროკლი სულ დაავიწყდათ და იმანაც თავს უშველა. ანდროკლს იმდენად წამება არა, რამ-დენადაც ბატონის უსამართლობა აწუხებდა.

უსამართლოდ და უსინიდისოდ მომექუნენ, ეუბნებოდა თავის თავს, —მე რაღად უნდა მოვექცე ჩემს ბატონს სინიდი-სიერად, თუ მონა ვარ, მაშ ბატონს უნდა მივბაძო, — და გა-იქცა საბყრობილიდგან.

ანდროკლი საშინლად დასუსტდა ბევრი ტანჯვით და დაიქანცა იფრიკის მწვავ სიცხეში გრძელ გზაზე სიარულით, გამოარჩია მყუდრო აღვილი და დაჯდა დასასვენებლად.

სხეული მთლიად ეწოდა სიცხეში ჩქარი სიარულის, მაგრამ გაუშრა წყურეილით.

კიდევ დაღამდა. უბედურს აგონდებოდა ის სახარელი ქალაქი, რომლიდანაც სხვა მრავალ მონებთან ერთად ისიც გამოიქცა ამ საშინელ უდაბნოში.

რა მოელის მას? სიშილით, ან წყურეილით სიკედილი? თუ მხეცთაგან დაგლეჯა? მაგრამ სულ ერთი არ არის? ხან და ხან უსაშინელესი სიკედილი უკეთესია კრულ სიცოცხლეს.

გარს მდუმარება სუფეედა. ანდროკულს ძილი მოერთა, მაგრამ შიშით ვერ დაეძინა, ნიდირბა არ შემჭიდოს, მის გულში კიდევ ლვიოდა ბუნდი იმედი სიცოცხლისა.

ძილს თავი დაახტია და გზას გაუდგა. დღის საშინელმა სიცხემ გიიარა. უსაზღვრო უდაბნოში ქარი დაქროდა და აგრილებდა არე-მარეს. ანდროკულმა თავისუფლად ამოისუნთქ. გზაში ქვის ქვეშ პატარი ნაკადული იპოვა, გამურებული სახე გაიგრილა. თავი მაღლა აიღო და დაუწყო ცქერა ვარსკვლავებით მოკედილს ლავარდ ცას. მის დაჩავრულს გულს სიამოცნებამ გადურბინა.

ცა განათლდა, თითქოს დაიცერცხლათ: მთვარე ამოდიოდა. მერთალი და იდუმალი სინათლით მოპტინა არე-მარე და უცმად ლამის წყვედიადში ანდროკულმა შენიშნა შორიახლო, როგორც ნიქთები, ბზის წვეტიანი ფოთლები. ნაზი ნიავი არ-ხევდა მაღლიად ამართულ, წერწერ ხევბს. ძირს ბუჩქნარი, იყო, და შიგ ვერცხლივით ბრკყინვალე წყარო

ეს იყო კორდი უდაბნოსა.

ანდროკულმა მოუსვენრად უკან მიიხედა. უკან, ზღვასხვით, უსაზღვრო ლამის წყვედიადში მისგან გავლილი უდაბნო ვადაშლილიყო. და თითქოს მძიმედ ფშვინავდა. ამ უდაბნოს იქით მისგან დატოვებული საშინელი ქალაქია, თავისი შენობებით, სასახლეებით და საპყრობილეებით.

აქ, ამ უდაბნოში შწვანე კორდა და იმ საშინელ ქალაქ შეა შეჩერდა ანდროკული და თავის იღმუროთებულ გულს

მიშართა, რა ქნის? ამ წალკოტს მიაშუროს, თუ პულტეშე გადავიდოს თავი. უდაბნო საშინელია ბენე ღამეში, მაგრამ მთვარიან ღამეში უფრო უარესია. ვეფხი გავგლეჯს უიარა- ლოს, მარტო მავალს მთვარის შეუძლებელობის უკანასკნელი განვითარებული მოჩანს.

ამ კილაში შეიძლება ადამიანი იყოს შეძლება ქალაქი-  
დან წამოსული ქართველი დასასკრებლად დამდგარიყოს. შეიძ-  
ლება მდევარმა იკნოს. იქნება სასხლის მოსამახურეთაგანი  
იყოს ვიზე, დაიკრებ და სამუდამოდ დაიღუპება.

რჩევა და ფიქრი გვიან-ლა იყო.

ანდროკილს ფეხები შეუშუპდა დაუბურცდა და სტკიოდა თავბრუ ესხმოდა. საჭირო იყო დასვენება, ძილი, მოლონიერება.

„მოხდეს, რაც მოსაფალია!“ იფიქრა ანდროკულში და გასწია ჭიათურული.

უახლოედებოდა და გრძნობდა სიგრილეს, მშვენიერს სუნნელებას, ესმოდა წყაროს ჩუქჩუხი, თითქოს იღუმალი ხმით ეგებებოდნენ მას ნივეისეგინ შერხეული ფოთლები. კალიდგან სხვა არა ისმოდართ. ეტყობოდა, იქ არავინ იყო. არც ცეცხლი მოჩანდა, არც ხმა ისმოდა ეისიმე.

კვერცხსა თან და თან დაახლოებით და გარკვევებით ისმოდა. კვერცხსაში გამოიხატებოდა მწუხარება, ტევილი. ადამიანის კვერცხსა ას იყო ეს, რაღაც სიტყვილის ას გამოიხატებოდა.

ანდროკული ერთს წამს შეჩერდა, მერე გადასწყვიტებულია მადლიური  
გასწია იმ იდეილისკენ, სიცდანაც კვნესა ესმოდა. სიფონილით  
გადასწია ეკლიანი ბუჩქი და ჩახედა შიგ. შეშინებულმა უკან  
დაიწია: უშველებელი ლომი იწვა ბუჩქებში და ესე საშინლად  
ისა კვნესოდა. ლომი გვერდზედ იწვა, როგორც დაჭრილი,  
მარჯვენა თათი მაღლა ჰქონდა იშვერილი, თითქოს ეშინოდა  
მიწაზედ დაეკარებინა.

მოვარის შუქი ზედ მისდგომოდა.

ამ სურათმა საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა ანდროკუ-  
ლზე და დიდხანს ვერ მიხედა, რაში იყო საქმე.

„ლომი, აშკარაა, მშიერია, იფიქრა ანდროკულმა, მაშ რა-  
ტომ არ მომვარდება და არ გამგლეჯს? უმცველია, სიმშილის  
გამო კვნესის.“

აღარ იცოდა, გაქცეულიყო, თუ დარჩენილიყო.

„არა, — აქ სულ სხვა მიზეზი უნდა იყოს და უფრო მეტად  
გასწია აქეთ იქით ბუჩქის ტოტები. ასეთი გმინვა მხოლოდ  
აუტანელ ტკივილის გამო შეიძლება.“

შეხედა ლომს. ლომი ისევ ისე იწვა, მხოლოდ თათი  
უფრო მაღლა აეწია. ადამიანის და მხეცის თვალები ერთმა-  
ნეთს შეხვდენ. არც ერთი არ შეიძრა, მხოლოდ ერთმანეთს  
ჩუმად დასტერებით უყურებდენ. ორივენი ცდილობდენ მიხ-  
ვედრილიყვნენ, რა იყვნენ ერთმანეთისა: მტერი, თუ მოყ-  
ვარე? ანდროკულმა ყურადღებით გასინჯა ნადირი. მის თვა-  
ლებში გამოიხატებოდა ტანჯვა და ვეღრება, — ვეღრება რომ-  
ლის გამო ანდროკულს გული აუძგერდა და მერე თითქოს შე-  
უჩერდა გულის ცემა. ანდროკულს წარმოდგენილი ჰქონდა,  
რომ მხოლოდ ადამიანს შეუძლიან ასე მეტყველად გამოხატ-  
ვა თავის ტანჯვა-ვეგბისა და არა უდაბნოს ნადირს.

ლომი არ იძრილა, ანდროკულმა გამბედაობა მოიკრიფა  
და მიუახლოვდა.

ოჲ, თავის დღეში არ დაავიწყდება ანდროკულს ლომის  
თვალების მეტყველება! თუნდა დაბერდეს კიდეც და ეწიოს  
სიმდიდრეს, დიდკაცობას, ანუ ღარიბ-ღატაკი სიმშილითა ლევ-

დეს სულის, მაინც არ დავიწყდება ის ტანჯვა-ველრეგიზონის მაცემერალი ლოშის თვეოლები! ნამდვილი აღამიანია! — სოქვა ანდრია კლიმა.

კიდევ მიუახლოვდი და ყველაფერს მიხვდი.

თათიდან ალისფერი სისხლი გადმოსდიოდა, სისხლი იქცე  
დაგუბებულიყო ლომის ქვეშ. რბილში უშველებელი და რეი-  
ნასავით მაგარი დეალი შერკობოდა.

ლომი გმინავდა და ანდროკულს თავს აბრალებდა. ანდროკული ლრმად ჩაფიქრებული იდგა ამ ულმობელ და საშინელ, მაგრამ ამ უასილ კი შესაბრალის მხეცთა მეფის წინაშე.

ორი გრძნობა და ორი ერთმანეთის წინააღმდეგი ფიქრი უტრიკილებდა თვეში.

ლომის თათიდან ეკლის ამოძრობა ძალიან აღვიღია; მა-  
შინ ლომი ისევ გამაგრდება, ისევ ლონიერი და საშინელი  
შეიქნება. უფრო აღვიღია შეი ჩატჩეს ეკალი და სიმშილით  
შოკდეს, — მტკრვანი ფეხით ხომ ველაპ ინაცირებს.

როგორ მოვიქცე? ანდროკულს მორჩენილი ლომი სა-  
შინლად მიაჩინდა ამ უდაბნოში. შეძლება, რაკი მორჩება, მივარდეს და გაქვდიჯოს მაღლობის მავიერად. თუ ასე დარ-  
ჩეს და თავისი უბედური კვნესით მთელი ლამე და იქნება მეო-  
რე დღესაც მოსვენება არ მისცეს ანდროკულს? არა, ეს მეტის-  
მეტი გულქვევობა იქნება ანდროკულისაგან, რომელმაც თავის  
თავზედ გამოსცადა ულმობლობა და გულქვევობა.

ასეთს ყოფნაში იყო ამ ორნაირი გრძნობით შეპყრობილი ანდროკლი.

დავისნა, თუ დავლუპო? დავისნა იყი და მე დავილუპო? თუ ის დავლუპო და მე თავს კუშევლო?

ამ ფიქტობა დიდ ხანს არ გასტანა. ანდროკული კეთილი იყო და კეთილი გული ყოველთვის სწერს სხეის უბედურებისთვის და მზა არის თავი გასწიროს. ანდროკულმა გადაწყვეტით სთქვა: „მოხდეს, რაც ღმერთებსა სურთ...“ და გაბედვით მიერთა.

ლომმა \*შიშით და ყურადღებით შეხედა დ ის თვალებ  
ში ისეთი მწუხარება იხატებოდა, რომ ანდროკოს გული  
ნაღლით ავსო. ანდროკომა თათი აუწია, დაკინარვებით გა-  
უსინჯა, დიდის სიფთხილით გადუწმინდა მომდინარე სისხლი,  
მერე მოსციდა ეკალს ხელი, ძლიერად მოსწია და ამოილო.

ლომმა დაიგმინა, მაგრამ მერე სიამოვნება იგრძნო, გამხ-  
ნევდა. სიარული არ შეეძლო, მაგრამ თვალები სიხარულით  
უბრწყინვდა.

ანდროკომა კი, უცბათ დაღალულობა იგრძნო. ტიღისნის  
სიარულმა გრძელს გზაზე უდაბნოს მწვავ სიცხეში, შიშია,  
სიმშილ-წყურვილმა, ლომმის დანახვიმ და მღელვარებამ თავი-  
სი დამართა: იქვე დაეცა პალახზედ და იმ წამსვე დაეძინა:  
იმის აღარ აშინებდა ლომმის გვერდით წოლი სულ ერთი იყო  
გაუთენდებოდა მას დილი შშეიდობიანი, თუ ლომმი ჩანთქა-  
მდა, ოღონდ-კი დაეძინა.

მხა მაღლა იყო ანდროკოს რომ გამოელებით და მაღ-  
ლა იხედა. ზედ თავზედ ადგა გუშინდელი ლომმი და დამშვი-  
დებული შეწყურებდა.

ანდროკოს სრულიად დაავიწყდა ძილში წინადღის ამ-  
ბიერ და ერთბაშად შეშინდა. მაგრამ უცბად მოაგონდა, რაც  
მომდა.

იმას რას ჰედავს! აი მასთან დგას ლომმი, უსაშიშრესი  
მფლობელი უდაბნოსი და არას ავნებს! რა ლმობიერად და  
მაღლობით უყურებენ მას ლომმის თვალები!

ლომმი მოშორდა და იქვე ახლო მიწვა ბალაზზე. უზარ-  
მაზარი მხეცი კიდევ კოკლობდა. ანდროკოს გული სი-  
ხარულით ავსო: კეთილი საქმე ქმნა, მოაურა ნაღის, რო-  
მელსაც არც სიკეთის ცოდნა იქნა და არც გონება, როგორც  
ადამიანი ამტკიცებს. ნაღირმა დაინახა სიკეთე. აი, არც კი  
მიეკარა. პირიქით ის აჩენებს, როგორც კი შეუძლიან, რა  
რიგი მაღლობელია თავის მკურნალისა.

ანდროკოლიც ხომ ერთგული მსახური იყო თავისი ბა-  
ტონისა; ის ხომ ადამიანი იყო, გონებაც ჰქონდა და გულიც;

შეგრძნობ თი, როგორ გადუხადა სამსახური თავის ქრონიკულს მონას.

ამ შწარე აზრმა გაუტბინა თავში ანდროკულს, როდესაც ის იდგა და სრულიად უშიშრად მივიდა ლომთან. გაუხსნა თათი, მოჰბანა იარა და ისევ შეუხევი. ლომი სრულს ნებას აძლევდა, რაც უნდა ექმნა მისთვის ანდროკულს, შეხვევის დროს მაღლობის ნიშნად ხელიც კი პულოკა.

სამი დღე დაჲყო ანდროკულშა ლომთან. ლომი დილით მიღიოდა სანაღიროდ და მზის ჩისელამდე ბრუნდებოდა ბინაზედ. ნანაღირევს მოუტანდა ანდროკულს და წინ დაუდებდა.

ანდროკული მომეტებულ ნაწილს უმს ხორცს ლომს აძლევდა, დანარჩენს მცირე ნაწილს შესწავდა ხოლმე თავის-თვის.

ასე ცხოვრობდნენ როგორც ორი მეგობარი, როგორც ორი ქმა. ახლა კი დარწმუნდა ანდროკული, რომ ლომი ერთგული ძალლით მიეჩევი, გაუმეგობრდა, გაუერთგულდა და დაუშინაურდა.

ანდროკული უშიშრად უაღერსებდა ლომს, ნებას აძლევდა შელი აელოქნა მისთვის და თითონაც ხელს გადაუსვამდა ხოლმე რბილ ბეწვზე.

— ლირს ქვეყანაზე ცხოვრება,—ებაასებოდა ანდროკული ლომს, როგორც აღამიანს, რომელსაც შეეძლო შესმენა,— ლირს, რადგან სიკეთის დანახვა კიდევ შესაძლებელი ყოფილა. თუ აღამიანმა დაჯარვა ეს მაღალი გრძნობა, აი შენ, ნაღირო, უუსაშიშრესო ნიღირთა შორის, შენ მაინც შეგრჩენია იგი.

შესამე დღეს, როდესაც კარგად მოღონიერდა ანდროკული, მოემზადა წასასვლელიდა.

თითონაც არ იცოდა, სად წავიდოდა, შეგრძნ ჭიავლა კი საჭირო იყო. ეს ჭალა პირველი იყო ამ უდაბნოში და ძალიან ახლო იყო იმ ქალაჭიდან, საიდანაც ანდროკული გამოიქცა. აქეთკენ ხშირადა ვლიდნენ ჭალაქელი ქარავანები; გარდა ამისა ანდროკულმა იცოდა, რომ მისი ბატონი სტუმ-

რებით ხშირიდ ნადირობდა აქეთ და დასასვენებლად ეს მშვენიერი წერტილი კალა ჰქონდა ამორჩეული.

ბედი გასიოცრიდ შეეწია ამ სამიოდ დღეს ანდროკლს, რომ არა აღამიანმა ფეხი არ შესდგა ამ ადგილს.

ანდროკლი სიყვარულით ეთხოვებოდა თავის მეგობარს, — ხელს უსვამდა თავზედ, უალერს ებლა და ეხვევოდა.

თათი სრულებით მოურჩა ლომს.

უკანასკნელად მოეხვია ანდროკლი უდაბნოს მეფეს და უთხრა, თითქმ შეეძლო ლომს იმისი გაგება:

— მშვიდობით, ჩემთ საყვარელო, კეთილო მეგობარო, ჩვენ სხვა და სხვა გზა გვაქვს. შენ ნადირი ხარ, მე აღამიანი, ჩვენ ერთად ვერ ვიცხოვრებთ, შენ უდაბნოში დარჩები, ეს შენი სამფლობელო. მე კი აღამიანებთან უნდა წავიდე. ადამიანებში ცოტაა შენსახით მადლიერი, მაგრამ შენ ნადირი ხარ და ჩვენ უნდა განვშორდეთ ერთმანეთს. მაშ მშვიდობით!

ანდროკლი გზას გაუდგა.

დალამდა. ცა ვარსკვლავებით ბრწყინავდა. დალამება უცბად დაატყდა ამ უდაბნოს, როგორც სამხრეთის მხარეს. მხე უცბად ჩაეიდა, თითქოს ჩააქრესო.

ელ. ანტონოვსკია.

(შემდეგი იქნება)





## მე. ვერონიკას ჩატრი

(სელმა / ლაგურლეჭისა გაფრძელება)



ს უკეთესი გამოდგა. მაღვე ქალაქის შეიაგულს, მიაწიეს. სულპეტიშვილი პირდაპირ ვიწრო ქუჩაზე შიუთოთ, რომელზედაც ეხლა უნდა გაევლოთ.

— ჰელივ, ფაუსტინა, იმ ქუჩას რომ შევუდგებით, უკვე ახლო ვიქნებით ჩექნს მიშანთან. ეს ქუჩა პირდაპირ იმპერატორის შიომღვიმის სასახლესთან გავციყანს.

მაგრამ აქ მოულოდნელი უაბრკოლება გადაელობათ მგზავრებს, ასე რომ დიდხანს შეჩერდნენ.

ფაუსტინა და მისი ამაღლა რომ იმ ქუჩას მიუახლოედა გზა შეუკრა პროცესიამ, დამნაშავე მიპყავდათ, რომელიც ჯვარზე უნდა ეცვათ.

წინ მასხარაობდა ახალგაზრდა, გამხეცებული ხალხი, რომელიც დასჯის სურათით დასატებობად მიეშურებოდა. ციბრუტივით ტრიალებდნენ იგინი ქუჩაში, ხელებს მაღლა იქნედნენ; სიხარულით, რომ ძლიერ ნაბეჭდენ ისეთს სანახას, რომელიც ყოველ დღე არა ხდება ხოლმე, თან მხეცურის ღმუილით ჰუენდნენ არე-მარეს.

მათ მოჰყვებოდნენ გრძელ ტანისამოსში გამოწყობილი პირნი, რომელიც, როგორც ეტყობოდა, წარჩინებულთა ჯგუფს ეკუთვნოდნენ. უკან მოსდევდნენ ქალები, და მათ შორის ბევრი თვალ-ცრემლიანიც.

უკან შემოსეოდნენ მათხოვარნი და მაზინჯნი, რომელიც საშინლად ღრიალებდნენ.

— პოი, უფალო! — ყვიროდნენ იგინი: — შენ იმსენ გვაჩვენა  
თალი! მოუკლინე ანგელოზი შენიდა დაიფარე იგი წარმოაუკ-  
ლინე მას შემწე ამ მისთვის უქანასკნელ წუთში! უფალო!..

აგრე, რამდენიმე ცხენოსანი რომაელი ჯარისკაციც გა-  
მოჩნდა. იგინი თვალ-ყურს ადევნებდნენ, რომ არავის გაე-  
ბედა და არ მიჰკარებოდა დამნაშავეს, ან არავის ეცვალა მი-  
სი გათავისუფლება.

ჯარის კაცებს მოსდევდნენ ჯალათნი, რომელთაც მიჰ-  
ყავდათ აღამიანი, ჯვარზე გასაკრავად. წამოეგდოთ მისთვის  
უზარმაზარი, მძიმე ხის ჯვარი, მაგრამ საბრალო ძლიერ სუს-  
ტი იყო და მისი სიმძიმით მოელი ტანით დედამიწამდე დახ-  
რილიყო. თავი ისე დაეხარა, რომ მისი სახის გარჩევა ყოვ-  
ლად შეუძლებელი იყო.

ფაუსტინა ქუჩის კუთხეში იდგა და სიკედილით დასას-  
ჯელის წამებით სიარულს უყურებდა; გაკვირვებულმა შეამჩ-  
ნია, რომ მას წითელი სამოსელი ეცვა, თავზე კი ჩამოფარუ-  
ლი ჰქონდა ეკლის გვირგვინი.

— ვინ არის ეს კაცი? — იკითხა მან.

აქ მდგომთაგან უპასუხდეს:

— ეს ერთი იმათვანია, რომელსაც მეფედ გახდომა სურდა!

— მაშ უნდა იტრანოს სიკედილიც იმ მიზნისთვის, რო-  
მელიც მისწრავებად არ ლირს! — მწუხარედ წარმოსთქვა ფა-  
უსტინაშ.

სიმძიმისაგან წაიბორძიკებდა ხოლმე ტანჯული. თან და  
თან ნელა მიღიოდა. ჯალათებმა თოკი შემთაკრეს ტანზე და  
ასე ეწევოდნენ, რომ ამით აეჩქარებინათ. მაგრამ როდესაც  
თოკი გასწიეს, დამნაშავე ძირს დაეცა და ჯვარ ქვეშ განარ-  
თხული დარჩა.

დიდი არეულობა მოხდა. რომაელი მხედარნი ძლიეს იმაგ-  
რებდნენ. ხალხს. მათ ხმლებით გზა მოუკრეს რამდენიმე ქალს,  
რომელთაც შეელა უნდოდათ დასჯილისა. ჯალათნი ცემით  
და წიხლის კვრით ცდილობდნენ მის აყენებას, მაგრამ ზეგი-  
დან დაწოლილი ჯვრის სიმძიმე არ უშევებდა. ბოლოს თვით  
ჯალათებმა გადმოიღეს ჯვარი.

မაშინ မან თავი მაღლია თიღო, და მოხუცმა ფაუსტინაშმ დაინახა მისი სახე: გვირგვინის ეკლით დაკაწრულ შუბლზე სისხლის წვეთები ჩამოსდიოდა: თმა აწეწილ-დაწეწილი ჰქონდა,—ერთად შემმარი ოფლსა და სისხლში. პირი მჭიდროდ ჰქონდა მოკუმული, ბაგენი კი უკანკალებდნენ, თითქო აღმოსახდომად გამზადებულ ხმას ებრძეიან.

— ჰოი, უბედურო! რასა იქმან!...—წამოიძახა მან და თვალურებულიანმა მისკენ გაიწია; მას დაავიწყდა თავისი მწუხარებანი ამ დატანჯული აღამიანის წამების დანახვაზე. გული თითქმის გახეთებას ულამოდა თანაგრძნობისაგან; სხვა მან-დილოსნებსავით იგიც მზად იყო გამოეტაცა იგი მტანჯველთა ხელიდან.

დამნაშავემაც დაინახა, რომ მოხუცი მისკენ მიიწვედა, და თეითონაც გამოხოხდა, თითქო ეს მოხუცი დაითარებულდა მას ყველა მათგან, რომელიც სდევნიდენ და აწამებდენ. მუხლებზე შემოეხვია ბავშვისავით, რომელიც დედის მახლობლად ეძებს ხსნას, იგი მიეკრა მას.

მოხუცი დაიხარი, თვალთავინ ცრემლები გადმოსცეივდა, და სანეტარი სიხარულსა გრძნობდა იმაში, რომ იგი მიეიღო და დაფარვას ევედრებოდა. ყელზე ხელი შემოახვია, და როგორც დედა თავის ბავშვის ცრემლებს გააშრობს, სახეზე თავისი წმინდა ტილოს ხელსახოცი მიაფარა, რომ ცრემლები და სისხლი ჩამოეწმინდა.

მაგრამ ამ დროს ჯალითებმა ასწიეს ჯვარი. იგინი მიეხვინენ და გაათრიეს დასასჯელი, დაგვიანებით ბრაზმორეულნი ეხლა უფრო მხეცური უბირობით მიათრევდნენ მას. დასასჯელმა ამოიკვენესა, როდესაც ნაპოვნ თავშესაფარს და-შორეს, მაგრამ წინააღმდეგობა კი არ გაუწევია.

ფაუსტინაშ ხელი შემომხვია, რომ დაემაგრებინა, მაგრამ, როდესაც მისმა სუსტმა მოხუცმა ხელებმა ველარ შესძლეს მისი შეკავება და დაინახა, რომ უკვე წაიყვანეს, ისე მოეწევნა, თითქო თავისი ლეიილი შეილი მოაშორესო, და ხმა-მაღლა დაიყვირა:

— არა! არა! ნუ მიგყავთ, ნუ წამართმევთ შეაგდინეთ უნდა მოკლეს, არა!..

„ურანელი ტკივილი და ბრაზი მოერია მის წაყვანაზე; უნდოდა გამოსდგომოდა, უნდოდა ჯალათებს შებრძოლებოდა და და გაეთავისუფლებინა იგი.

მიგრამ გადადგა თუ არა ნაბიჯი, თავბრუ დახხევა და გული შეუწუხდა. სულპიცი ხელი მიაშეველა და ხელზე დააყრდნო.

ქუჩის ერთ მხარეს დაინახა პატარა ბნელი დუქანი და ხელით შეიტანა მოხუცი ქალი. ქ არც სკამი, არც სხვა რაიმე საჯდომი არ იყო. მაგრამ ვაჭარი გულწილი კაცი იყო: მან იშოვა ქვეშაგები და ფილაქინზე გაუმართა ფაუსტინის საწოლი.

მოხუცს გონება არ დაეკარგა, მხოლოდ თავბრუ ისეთი ძლიერი იყო, რომ ფეხზე დგომა არ შეეძლო და ლოგინში უნდა დაწოლოლოყო.

— დღეს ბევრი ვიარეთ, და ვერც ეს სმაურობა და ქალაქის ოურ-ზაური აუტანია, — აუხსნა ვაჭარს სულპიცი.— ლრმა მოხუცია, და არც არის ეინშე ისეთი, რომ, რაც ვინდა ჯანმრთელი იყოს, სიბერეს მაინც გაუმარტინეს.

— დღევანდელი დღე მძიმე დღეა თვით იმათთვისაც კი, ვინც არც ძლიერ მოხუცია, — უპასუხა ვაჭარმა: — ჰაერი შეხუთულია, ისე რომ ქალაქში სუნთქვის მობრუნებაც კი გიკირს; არც საკვირველი იქნება, რომ სეტყვა მოვიდეს.

სულპიცი მოხუცთან დაიხარა; იგი დამშვიდებულიყო და დაქანცულობისა და გამოვლილ მოელვარებათა შემდეგ წყნარიდ და სისიმოვნოდ ემინა.

კარებთან მიერდა და იქედან მოხუცის გაღვიძების მოლოდინში თვალს აღევნებდა ქუჩის ხალხს და მოძრაობას. პ. დ—ძე

(შემდევი იქნება)



## პროფესიული კასილ პეტრიაშვილი

26 იცლის ამა წლისა გარდაიცვალა კარლსბადში (ავსტრიაში) ქართველი ერის დამაშვენებელი მისი შეიღი პროფესიონი პეტრიაშვილი. დაეკითხეთ თქვენს მახლობელს ნაცნობს, ნათესავს, რომელსაც კი ოდესმე საქმე ჰქონია ოდესის უნივერსიტეტში ნამყოფ ახალგაზლა გინდ მოხუცოან და ცველანი ვასილ პეტრიაშვილის სახელს წარმოსაქმენ მოწიწებით, თაყვანის ცემითა და სიყვარულით. იმ სახელის ხსენებაზედ მათ სახეზედ იღინთება ყმაწვილურის ოცნების ალი და ახალგაზლური იდეალის ანთებული ნაპერწელები გადმოსცვივა თვალებიდამ.

ვასილ პეტრიაშვილი იყო ერთი იმ არსებათაგანი, რომლის სიახლოე, რომელთან ბაასი ღმერთთან გაახლოებდა, იგი ნამდვილი ზე — კაცი იყო, იმ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. დაუღალევი, ენერგიული და თავდაციწყებული შშრომელი შეცნიერების ტაძარზედ; შეუდრეველი შეუშინებელი საოცარი მტკიცე მოქალაქე და მამულიშვილი, რომლის სიცოცხლის არსებით სასიყვარულო და სატრაფიალო საგანს დაჩაგრული სამშობლო შეადგენდა; ადამიანი, რომელსაც ცხოვრებაში კომპრომისსებისა ირა გაეგებოდა რა და არა იცოდა რა; კაცი, რომელიც უსაზღვრო მოთმინებით იყო აღჭურვილი სხვის აზრის, სხვისი ცოდვისა და შეცდომის შესახებ; კაცი, რომლის სიწყნარე და სიმშვიდე იმ ქვეყნიური არ იყო; მშვიდი მეცნიერი, რომელიც სალკლდედ იქცევდა, თუ ვინმე გაბედავდა და მოსთხოვდა — დაეთმო ერთი ბეჭოც არის მისი იდეალების, მისი აზრებისა და გრძნობებისაგან.

დაეკითხეთ, რომელსაც გინდათ — ოდესი ელ სტუდენტს, თვით მასაც, რომელიც თითქმის ნიადაგ პეტრიაშვილის ოჯახ-

ზო იყო, თუ ახსოეს როდისმე, რომ ამ კაცს ვისთვისშეუტარებული აშენენ ინებინოს, ვისთვისმე, როდისმე ხმაბალალი სიტყვა ეთქვას; მაგრამ თანაც თუ თავისი დღეში მის ვისთვისმე რამე და ეთმოს თავისის აზრისა და გრძნობისაგან

უკეთესი მაგალითი რად გინდათ. ერთხელ ძლევა-მოსილი მინისტრი მისი ნამთანაგევი იყო. უნივერსიტეტში ყოფნის დროს იმ მინისტრს ურიგო რალაც ჩადინა. ვასოს (ასე უძახოდნენ უკველოვის სტუდენტები) ჩვეულებრივად მიმშარეს მისი მოქმედების განსამართლებლად. ვასომ, შეჯავრი დასდო მის მოქმედების. გაიარა ხანმა და რუსთის ბელ-ილბალი ამ მინისტრის ხელში ჩაეარდა. კეკიანი და გონიერი კაცი იყო. ძველი ძმანაგები გაისხენა და უკელა თაფის თანა შემწედ გითხადა. ვასოს განსაკუთრებით მოციქულები მიუგზავნა და სთხოვა, სადაც კი გინდა, რომელ იდგილსაც კი შეტყვი, მოგართმევ, ჩემთან იმუშავეო. ვასომ კათევორიულად უარი განაცხადა: იმ თავითვე კოკებში ეტუობოდა მაგ სინიდისთან მწყრალიდ ბრძანდება, მე მაგასთან საჭებ არა მაქსო.

ჩვეულებად იყო მიღებული უნივერსიტეტებში, განსაკუთრებით ოთხმოციან წლებში, ოლქის მზრუნველებისთვის სადარბაზოდ უნდა მისულიყვნენ ხოლმე პროფესიონები; შეეძლოთ, მარტო სადარბაზო ბარათი დაეტოვებინათ, ბევრს ეხვეწებოდნენ ვასოს, ზოგიერთი მეგობრები; რას დაეძებ ფორმა აღსრულეო. ვასო ყოველთვის იტყოდა ხოლმე ისეთის კილოთი, რომ ყველას ენა ჩაუვარდებოდა პირში: მე ვირ დამოუკიდებელი მეცნიერების მუშაკი და არაეთთარ პოლიციურ ფორმის აღსრულებას არ ვიკისრებო... მის შედეგი კი ის იყო, რომ თუმც დიდი ხნიდან უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვასოს არც რექტორად, არც დეკანად არა ნიშავდნენ. ერთხელ იურიდიულ ფაკულტეტში ერთ უნიქო ვითომ და მეცნიერს დოქტორობის ხარისხი მისცა. მის მეცნიერულ ცოდნასა და განვითარებას ამაში არავითარი ბრალი არა ჰქონდა, მაგრამ ფაკულტეტი სულ სხვა საბუთებით ხელმძღვანელობდა— მინისტრის სურვილი, დიდ-კაცე-

TATSSVAM

ბის პროტექცია და სხვა, თითქმ რომელიმე დეპარტამენტის მოხელეობა იყოს პროფესიონალის. მთელი რუსეთის განათლებული საზოგადოება ააშეოთა ამ ფაქტში. ოდესის პროფესიონალებიც ძალიან გაწილდებოდნენ. ხოლო, როგორ საბჭოში ეს საქმე ირჩეოდა და მაშინდელში ჩეკტორმა განაცხადა, მინისტრს არ იამება, თუ ფაკულტეტის გადაწყვეტილებას არ მივერჩარითო ვასო წამოვარდა და სთქვა, „მინისტრს ხელი არა აქვს მეცნიერებასთან და მეცნიერების მუშად მარტო მას შეუძლია იყოს, ვისაც ნამდვილად აქვს თვისება მეცნიერების მუშაյისათ. მარტო თუმა ვასოს ახლო მეგობარში მისცეს მას მთარი, ისიც მარტო კენჭის ყრით. დანარჩენები კი ბევრს ყვიროდნენ გარედ და, როგორ მინისტრი უხსენეს, შიშის ზარი დაწკათ.

უკანასკნელ ხანში, როცა რექტორობა მიიღო, იგი შე-  
უდრეველი და მოუსვენებელი დამცველი და გუშაგი იყო  
„უნივერსიტეტის საუკეთესო იდეალებისა“, როგორც ღალადე-  
ბდა სტუდენტობის გეიტინგინი, რომლითაც შემკული იყო კუბო  
საყვარლის პროფესორისა. ყველა მისი მახლობელის აზრით  
რექტორობამ გადაიტანა იგი და მაშისადამე როგორც მის დიდ-  
ბუნებრივობას შეეფერებოდა ისეთი სიკვდილი ელიტა იმ ტაძ-  
რის დასაცველად, რომლის მძიმე ქურუმობაც მან იტვირთა.

ამიტომაც იყო, რომ ყველა გვირგვინების წარწერის სი-  
ტკივები მხს იხსენიებდა, როგორც „მავას“ ახალგაზრდობისა და  
„უებრო მებრძოლს უნივერსიტეტის თავისუფლებისას“

აუარებელი ახალგაზრდობა, ქალი და კაცი, მისდევედა მის ცხედარს, აუარებელი შშობლები და საუცხოო სიწრფეელით აღსავას ცრემლებს ლორიტნენ მის უსულო ცხედარზეთ.

ასეთი სოფელი ული, ასეთი თანაგრძნობა არანკულებრივია, ყველა ერთხმად ამბობდა და გრძნობდა.

ერთი ქაიზოდი მისის დასაფლავებიღამ. ოუარებელ ხალ-  
ხში, ერთი ფეხშიშველა 7—8 წლის ბავშვი მჩდიოდა დაფ-  
ლეთილის ტანისამოსით, ხელში იისამზნის თარიღული ქცყრო

და სულ კუბოს მისდევდა. სახატლიოს აღაყაფის კუთხმის მიზანი ხალხი ძლიერ შედიოდა, ბავშვი კინალამ გაცყლიტეს, მაგრამ თავს უშველა პოლიციელების მუჯლუგუნს გაუსხლტდა და საფლავთან ყველაზედ წინ იდგა.

მეორე დღეს რომ ვნახეთ ვასოს საფლავი, ეს იასამინის თაიგული განსაკუთრების მეცადინეობით იყო ჩარგული იხალს საფლავში. მესაფლავეს ვკითხეთ, ეს თქვენ გაუკეთოთ? ვინ იყო ის ბავშვი, თუ იცითქო? არ ვიციო, მაგრამ არ მომშორდა ვიდრე თვით ასე არ გააკეთა ეს ყვავილი.

ასეთი საყვარელი კაცი იყო დიდისა და პატარასთვის როგორც მეცნიერი. ვინც დაახლოებით იცის მისი ლვაწლი, ამბობს, ვასო, რომ სხვასავით მყვირიალა იყოს, მისი შრომა ერთ ალიაქოთს გამოიწვევდა ევროპის ეურნალ—გაზეთებში, ყველანი იმ აზრისა არიან, რომ მეცნიერებაში თვალსაჩინო ლვაწლი აქვსო.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურის მან ჩაუგდო საძირკველი და მით თავისი სიხელი უკვდავი პყო; მისი „ლვინის დაყრება“ მთელი ქიმიად მშვენიერი აღვრილი გისაგებ ენით დაწერილი, მრავალი ტერმინი მისგან შექმნილია.

ასეთი იყო ეს კაცი... და ვინც დაახლოებით იცნობდა მას, იცოდა, რომ იგი იყო ქართლის ხალხის ლვიძლი შვილი. როცა კაცი ვასოს წარმოიღვენს, როცა გაითვალისწინებს, რომ ეს საუცხოვო პირალბა მთლიად ერთიანად ქართლის ხალხის შეილი იყო, ქართლის ერის მომავალი გრძამს. ასეთის პირალბის შექმნა მარტო იმ ერს შეუძლია, ვისაც დიდი წარსული ჰქონდა და დიდებული მომავალი ელის.

კ. ა.



## ვასილ მოსეს ე პეტრიაშვილი

**ვ**ასილ პეტრიაშვილი იყო ღარიბი მღვდლის შვილი. დაიბადა 1845 წელს. ტფილისის სასულიერო სემინარიაში კურსის გათავების შემდეგ შვიდი თავისი უნივერსიტეტში, სადაც 1870 წ. ჩინებულად დამთავრა სწავლა საბუნებისშეტყველო ფაკულტეტზე. იმან მოისურვა კუდევ სწავლის გაგრძელება და პროფესიონალ დარჩენა, თუმცა რუსეთის ცნობილი პროფეს. სეჩენოვი ეუბნებოდა თურმე: „სად აზიელი და სად მეცნიერებაო!“ 1873 წ. გიმეგზივრა საზღვაო-გარეთ და ბონის უნივერსიტეტში ისმენდა ლექციებს. 1874 წ. კვლავ დაბრუნდა თეო-საში და აქ სახელოფანად დაიცვა დისტრიცია, რისთვისაც მიიღო ქიმიის მაგისტრობის ხარისხი. 1877 წელს მიიღო კუდევ მაღალი სამეცნიერო ხარისხი, დოქტორობა. 1878 წ. გაგზავნ საზღვაო გარეთ 2 წლით და პარიზის უნივერსიტეტში ისმენდა ცნობილ მეცნიერების ლექციებს და მუშაობდა იმავე უნივერსიტეტის ლაბორატორიაში. საზღვაო გარედან დაბრუნების შემდეგ განაგრძობდა ლექციების კითხვა: ოდესის უნივერსიტეტში, სადაც მაღავე დანიშნულ იქმნა ფიზიკა-მატემატიკურ ფაკულტეტის დეკანიდ. 1906 წელს არჩიულ იქმნა რექტორის თანამდებობის აღმასრულებლად.

ვასილ მოსეს ძე პეტრიაშვილი მე 1887 წელს გავიცანი ქ. ოდესაში. მაშინ ქუთაისის გიმნაზიაში ასლად კურს-დასრულებული ვიყავი და ოდესის უნივერსიტეტის. საბუნების-

პეტრიაშვილი ფაქულტეტზე შევეღი სტუდენტად. გავიცანი თუ არა რუსი და ქართველი სტუდენტები, ჩემი ამხანაგები, მალე გავიგონე მათგან ვასილ მოსეეს ძეს პეტრიაშვილის სახელი. ყველანი პატივისცემით და სიყვარულით ისე-ნიველნენ იმას. პეტრიაშვილი პრო-ფესორად იყო უნივერსიტეტში, ქი-მიის ასწავლიდა სტუდენტებს, რო-მელთაც რასაკვირველია ხშირად მქო-ნდათ თავის მასწავლებელთან საქმე და მალე გაიცნეს იმისი კეთილი გუ-ლი და პირდაპირი, პატიოსანი ხა-სიათი.

განსვენებულს სწამდა, რომ ცოდნა გულსა და გონებას გაუნათლებს ადა-მიანს, რომ თვითოული ჩვენგანი, როცა დედა-მიწის და იმის-თვალშინ გადაშლილი მოელი ქვეყნიერების ვითარებას გაიც-ნობს, როცა დაუკვირდება იმს, თუ რისგან შესდგება ეს-დედამიწა, როგორ გაიზრდება და ცოცხლობს მცენარე, რა-კანონს ემორჩილებიან და როგორ მოძრაობენ ცაჲე მზე, მოვარე და ვირსკვლავები, როცა ყველა იმით ცოდნის სიყვა-რულით დაწესდება ადამიანი, უკეთესობა სულითა და გულით ამაღლდება, ზნეობრივად გაიწმინდება და იმ ქვეყნიერებაში თავის მოყვის ძმა-ადამიანთან კავშირს, ნათესავურ დამოკი-დებულებას იცნობს და თავის ადამიანურ დანიშნულებას შეა-სრულდება ამ წუთი სოფელში.

ვასილ პეტრიაშვილი არ ჰგავდა იმ გულ და კარ ჩაკე-ტილ მიუკარებელ მეცნიერ პროფესორებს, რომელთაც სხვისი დარღი არ აწუხებთ, ყველასაგან მოწყვეტილნი და თავის სა-მეცნიერო სამუშაო ოთახში მოწყვეტილნი უსიცოცხლოდ და ადამიანის უსიყვარულოდ ატარებენ ამ თავის წუთიერ ცხოვ-



ვასილ მოსეეს ძე  
პეტრიაშვილი

რებას. ვისილ პეტრიაშვილს სწამდა, რომ მეცნიერება ძღვიანის განკარგებას, გაპატიოსნებას უნდა ემსახუროს, რადგან ამ აღამიანის სიკარგეს, პატიოსნებას იგი ყველაზე მაღლა აყენიადა, ყველაზე უფრო უყვარდა.

ჩვენ სტუდენტებმა კარგად ვიცოდით, რომ ყოველნაირ გასაჭირში ვისილ პეტრიაშვილი გვერდში ამოგვიდეგბოდა და მამა-შვილურ ქომაგობას გაგვიწვედა. ცოცხლად მაბსოვს ის დრო, როცა ქართველ სტუდენტებს შორის ოდესაში სამწუხარო განხეთქილება ჩამოვარდა. მოსწავლე ახალგაზღობა ორად, ორ მტრულ ბანაკიდ გიყო. მოისპონ მათ შორის ამხანგობა, ძმური კავშირი, ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა და შეიწნა ენა-ტანიობა, ერთმანეთის ლანძლვა-კიცხვა და ქიშ-ზობა. მაბსოვს, როგორ შეაწუხა ამ სამწუხარო მაბავშა განსვენებული და როგორ ჩერია იგი საქმეში ქართველ სტუდენტებს შორის ისევ ძმური კავშირის აღსაღენიად. როგორ აშკარად ეტყობოდა მას გულ-მტკიცნებულობა, წესილი იმის შესახებ, რომ სამშობლოდან ცხრა მთას იქით სწავლისათვის გადახიზნულ ახალგაზღებას, ერთი ქვეყნის შეილებს, ეს თავისი მშობლური ერთობა და აეგიშულათ და სამწუხარო მტრობა დაუწყეს ერთმანეთს.

მარტი ერთი შეხედვა ვისილ პეტრიაშვილისა, მასთან შარტო ერთი დალაპარაკება საქმით იყო მტრობით აღელვებული კაცის გულის დასამშევიდებლად. ყველას ერთნაირად ღინჯად, ერთნაირად გულ-შშილად და ერთნაირის ყურადღებით ქაუბრებოდა იგი, ყველა გრძნობდა გულით ესმილა, რომ ამას კეშმარიტების სიმართლის სიყვარული იძულებდა ვისილ მოსეს ძეს და მიტომ ასეთი კაცის თვითეულ სიტყვას ლრმად აფასებდა, როგორც პირუთვნელი, მიუდგომელი აღამიანის გულის ხმას.

ყოველნაირი კერძოობა, მიღებობა, უსამართლოობა გულით სიაგდა ვისილს. ყველაზე კარგად იცოდა, რომ შეამნენედა თუ არა იგი ვისმე უსამართლო ქცევას, უმცველად წინააღმდე-

გებოდა და ცხარე საყვედურს გამოუწადებდა, რაღანაც ჟურნალის  
მართლობა, ადამიანისაგან თავისი მოძმის დაჩაგვრის სურვილი  
ადამიანობის დამცირებად მიაჩნდა.

ეს შესანიშნევი ადამიანი, ვასილ პეტრიაშვილი, დღეს ჩეენ  
ოლარ გვყავს. იგი გადაიცვალა უცხოეთის ქალაქ კარლსბად-  
ში, სადაც სამკურნალოდ იყო წასული. მას გადაწყვეტილი  
ჰქონდა, რომ მორჩინილიყო, სამშობლოში დაბრუნება და აქ  
ქართველთა შორის მუშაობის განვრძობა.

„რაიცა ერთხელ სულს დააჩნდების.

საშვილიშვილოდ გადაიცემის,“ —

ამბობს ჩეენი სახელგანთქმული პოეტი ნიკოლოზ ბარა-  
თაშვილი. ეინც განსავენებულ ვასილ პეტრიაშვილს იცნობდა,  
ცველას სულს ლრმად დამჩნია შან თავისი პატიოსანი და მო-  
სიყვარულე პიროვნების კვალი და იმიტომ იმისი სახელი სა-  
შვილი-შვილოდ გადაიცემის კაცთა შორის

ილია ნაკაშიძე



## ივანე რამაზის ქა თარხნიშვილი

**წ**ელს, იმა ზიფხულს საზღვარ გარეთ, იესტრიიაში გარდაიცვალა ჩეენი თანამემამულე პროფესორი ივანე რამაზისძე თარხნიშვილი.

განსცენებული პროფესორი და ეკადემიკოსი, ივანე რამაზის ძე თარხნიშვილი, დაიბადა 15 ივნისს 1846 წელს ქალაქ ტფილისში და შთამამავლობით ეკუთვნოდა გორის მაზრის, სოფელ ახალქალაქის თავად თარხან მთურავთა ძევლებენ. ჰირკელ დაწყებითი სწავლა ახალგაზდა ივანემ მიიღო მშობლების სახლში. ვინც კი პატარა ივანეს იცნობდა, ყველა ილტაცებაში მოღიოდა ყმაწვილის ნიჭით. ყმაწვილის ამასთანავე შრომისა და სწავლის დიდი უნარი ემსწეროდა და ამიტომ ყველა მოკეთენი მშობლებს ურჩევდნენ პატარა ივანე გიმნაზიაში აღეზარდათ და შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში გაეგზავნათ. მართლაც, იმ აზრის ვანსახორციელებლად თოთხმეტი წლის პატარა ივანე თარხნიშვილი გაემგზავრა ქალაქ პეტერბურგს, საცა სამი წლის განმავლობაში რეპეტიტორის დამზარებით წარმატებით შეითვისა გიმნაზიის ყველა საგნები და საუცხოოდ დაიჭირა ეგზამენი კურსის დამთავრებისა.

იმავე 1863 წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში და ჩეენერა ფიზიკომატემატიკურს ფაკულტეტზედ, რომელზედაც მთელი წლის განმავლობაში გულმოდვინედ სწავლობდა ბიოლოგიურ მეცნიერებას და განსაკუთრებით კიფიზიოლოგიას. 1864 წელს ახალგაზდა სტუდენტი უნივერ-

სიტერიდან გადავიდა სამხედრო ქირურგიულ აკადემიურ კურსებზე, საცა იმ დროს ფიზიოლოგიის ლექციებს კითხულობდა ცნობილი პროფესორი სეჩენოვი. იმ პროფესორის ხელმძღვანელობით თარხნიშვილი გულმოდგინედ შეუდგა ფიზიოლოგიის



ივანე რამაზის ძე თარხნიშვილი

შესწავლას და სტუდენტობის დროსევე დასწერა რამდენიმე გამოკვლევა, რამც დიდი ყურადღება მიიქცია სპეციალისტებისა.

სამხედრო აკადემიის კურსი ივანე თარხნიშვილმა დაამთავრა 1869 წელს და კონკურსით დატოვებული იქმნა აკადემიიში ფიზიოლოგიის უფრო ვრცლად და საფუძვლიანად შესასწავლად. სამი წლის განმავლობაში იხლად კურს დამთავრებული მეცნიერი თავიულებლივ მუშაობდა ლაბორატო-

რიაში და ლექციებისა და სხვა და სხვა ცდების დამსახურების უწყვეტი აკადემიის პროფესორებს. ამ სამი წლის განმავლობაში განსვენებულმა მრავალი საფულისმიერო საკითხი გამოიჩინა მეცნიერულად და ამ გამოკვლევებით დიდი ნდობა და სიყვარული დაიმსახურა აკადემიის პროფესორებისა.

1873 წელს სამხედრო აკადემიის პროფესორების დადგენილების თანახმად თარჩენიშვილი გაგზავნილ იქმნა საზღვარ გარედ გამოჩენილ პროფესორების ლექციების მოსამენად და საზოგადოდ ბიოლოგიურ მეცნიერების უფრო საფუძვლიანად შესასწავლად. საზღვარ გარედ ახალგაზფა მეცნიერმა გაიცნო ევროპის თითქმის ყველა საუკისენტერო ქალაქების ფიზიოლოგიური კაბინეტები, საცა იგი გამოჩენილ პროფესორების ხელმძღვანელობით ირკვევდა და იძიებდა სხვა და სხვა ფიზიოლოგიურს საკითხებს. ხანგრძლივად მუშაობდა თავის სპეციალურ საგნის შესათვისებლად სტრაბბურგისა და პარიზის უნივერსიტეტების ლაბარატორიებში გამოჩენილი პროფესორების ჰოპენეილერისა, ჰოლცია, რეკლინკ-ჰოუზენისა, კლოდი ბერნარისა, რენეისა და სხვათა ხელმძღვანელობით. საზღვარ გარედ ყოფნის დროს დასტაბიზა მრავალი სამეცნიერო წერილი საზღვარგარეთისა და რუსეთის უურნალ-გაზე-თებში, რომლითაც მან ლირსეულად მოიხვევა სერიოზული მეცნიერის სახელი. ამ დროს საუკეთესო გამოკვლევად მინ-ნეულია სამეცნიერო ლიტერატურაში „ორგანიზმის კურ-კლების ინერვაცია, შეკუშმული ჰაერის ზეგავლენა ელემენ-ტების უჯრედებზე“ და სხვა.

საზღვარ-გარედგან დაბრუნების შემდეგ 1875 წელს განსვენებული დანიშნეს სამხედრო აკადემიაში პრივატულცნ-ტად. ეს დრო სწორედ ის დრო იყო, როცა პირველსა და მეორე კურსზედ 400—500 სტუდენტი ითვლებოდა. ახალგაზდა პროფესორის ლექციებს ფიზიოლოგიის შესახებ სტუ-დენტობა დიდი ინტერესით ისმენდა, ახალგაზდა მეცნიერს თავის მეცნიერულ და მცენრმეტუველი გამოკვლევებით იღტა-

ცებაში მოჰყავდა მსმენელნი. 1876 წელს თარსინიშვილი პროფესიონალი იქმნა იყალებიაში ექტრა თარდინარულ პროფესიონალ, ხოლო ერთი წლის შემდეგ პროფესიონალ.

1893 წელს სამეცნიერო იყალების კონფერენციაზე განსვენებული ჩვენი თანამემამულე სამეცნიერო და სამასწილებლო მოღვაწეობისათვის თირჩია თავის წევრიად და დააჯილდოვა იყალებიკოსის ხარისხით.

1895 წლის განსვენებული სამხედრო იყალებიაში კითხულობდა ლექციებს ფიზიოლოგიიდან, ხოლო ამ წელს, როცა იყალებიაში გამეცდა ბიუროკრატიული წესწყობილება და თავისუფლად ლექციების კითხვის იყალების გამგებლებმა ფრთხები შეაკვეცეს, თარსინიშვილმა დასტურა იყალებია და უნივერსიტეტში გადავიდა, საცა იგი კითხულობდა ბიოლოგიისა და სახოგადო ფიზიოლოგიის ლექციებს. უნივერსიტეტის პროფესიონების კოლეგიამ და სტუდენტობამ ღირსეულად დააფასეს ნიკიერი პროფესიონი, მისი ლექციები დაუსრულებელ აღტაცების იწვევდნენ სტუდენტებში, სტუდენტები მატრიცოვანებით დადიოდნენ განსვენებულის თვითონეულს ლექციაზედ და გულმოდგინეობით მეცადინობდნენ გამოყდილის შეცნიერ-პროფესიონის ხელმძღვანელობით.


ორმოცი წლის განმავლობაში განსვენებულ პროფესიონალი ხელიდან არ გაუგდია და დღე და ღამე განუწყვეტლივ შრომობდა რათა თავის წელილი შეეტანა იმ სალაროში, რომელსაც შეცნიერების ტაბარს ეძახიან. მართლაც, ამ თაოთქმის მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში განსვენებული შეეხო მრავალ სიგულისხმიერო სამეცნიერო საკითხებს, რომლების საფუძვლითან და შეცნიერულად გამოკვლევამ ნათელი მოქმედია მრავალ სადაცო და გაურკვეველს საკითხებს შეცნიერებაში. საქმარისია დავისახელოთ განსვენებულის გამოკვლევანი: ასისხლის ჩაოდენობა კაცის ორგანიზმში, მუსიკის გავლენა ცხოველ თრაგიზმზედ და კაცზედ, კაცის გულის ფრიალის შესახებ და სხვ. რომ ნათლად გა-

ვითვალისწინოთ ის დიდ მნიშვნელოვანი მოღვაწეობა, რომელიც მიუძღვის განსვენებულს მეცნიერების წინაშე.

განსვენებული მთელი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის დროს დაუღალევად იღწოდა როგორც სპეციალისტი მეცნიერი სამეცნიერო ასპარეზზედ და თავისი მოღვაწეობით ამ მხრით გაამდიდრა სამეცნიერო ლიტერატურა. გარდა ამ უმთავრეს საგნისა განსვენებული ჩვენი თანამემამულე ცნობილია როგორც საუკეთესო ხელმძღვანელი ფიზიოლოგიურ ლაბორატორიებში, ცნობილია როგორც რედაქტორი და მთარგმელი საუკეთესო თხუზულებათა ფიზიოლოგიასა და მედიცინიდან, ცნობილია ავრეთვე როგორც საუკეთესო პოპულიზატორი სხვა და სხვა სამეცნიერო საკითხებისა.

ესეთი იყო სამეცნიერო მოღვაწეობა ჩვენის თანამემამულის რომელსაც ერთგვარიად პატივსაცემდნენ როგორც მთელს რუსეთში, ისე მთელს დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში. განსვენებული ევროპასა და ამერიკაში მრავალი სამეცნიერო საზოგადოებების საპატიო წევრიად ითვლებოდა და მის აზრისა და შეხედულების სამეცნიერო წრეები დიდი პატივისცემით და თავაზიანობით ეპყრობოდნენ,

ა. მიქაბერიძე.





## პოტანიკური საუგარი

(გამოცემული)



მ ხანში წყალს გაუფრთხილდეს, ევკალიპტი, რო-  
მელზედაც უკვე გვქონდა ზემოდ საუბარი, მაგ  
უშვერს ფოთლის ზევითა პირს კი ორა, როგორც  
ყველა ხე, არამედ ფოთოლს შეუულიდ აყენებს,  
ისე რომ მასის სხივი აღმაცერად უვლის. ამიტომ  
ევკალიპტი ჩრდილს თითქმის ორ იძლევა.

რასაკვირველია, ხშირად შეგიფარებიათ თავი ხის ქვეშ,  
როცა თქვენთვის ავდარს მოუსწერია სადმე. მართლაც და პა-  
ტარია ავდარი ვერ უვლის ხის ტოტებს და ფოთლებს. დიდ  
ავდრის შემდეგაც კი რომ გასინჯოთ ხის ძირში ნიადაგი, იგი  
მშრალი დაგხვდებათ. ავდრის წყალი, რასაკვირველია, ხეზედ  
არ აჩება: იგი ზევით ფოთლიდგან ქვეით ფოთოლზედ ჩადის  
და ცოტ-ცოტათი შორდება ხეს. ამ შემთხვევაში, კერნერისა  
არ იყოს, ფოთლები თითქო ათასი პაწაწინა ლარიაო, წვიმის  
წყალს ვარედ ტოტებისაკენ უკადებენ. მერე ეს წყალი ჩა-  
მოდის იმ ალაგის, საცა ხეს ტოტები უთავდება. ხის გარშე-  
მო, ტოტების სიგანეზედ, დიდ ავდრის ღრუს კოკის პირუ-  
ლი წყალი ჩამოდის. იმ ალაგის, საცა ეს წყალი ჩამოდის,  
ნიადაგი რომ გავსინჯოთ, დავინიხავთ ხის წვრილ ფესვებს.  
ფოთოლი, როგორც სჩინს, განგებ უკადებენ წვიმის წყალს  
იმ წვრილ ფესვებისაკენ, რომელთაც ქართულად ზედ გამოწ-

რილი სიხელი ქვიან — საწოვრები. მხოლოდ საწოვრებს ჰქმდება სკელ ფესვებს შეუძლიათ შეითვისონ, მოსწოვონ მიწისაგან საკირო წყალი, რადა მერე ფოთლებს მიაწოდონ. წყლის და-კადებით ფოთოლს სხვა ნაირი სარგებლობაც მოაქვს: ხის კერ-ქი მოშეტებულ დროს მშრალია. ქერქი რომ ხშირად ინამე-ბოდეს, მასში დაიბუდებდა ბევრი ხის მავნებელი მწერი.

ზემოდ გვეკონდა ნათქვამი, რომ ხეებს ძალიან ბევრი, თითქმის უთვალავი ფოთოლი ასხია; რომ ერთი მუხის ფოთ-ლები, მიწაზედ გაშლილი, სამ დღიურს დაჭიარავდათ. ესლა წარმოიდგინეთ, რა საშინელ ძალის მიიტანდა ქარი, რომ ამო-დენი ფოთოლი პირდაპირ ქარს აჟყულებოდა. მართლაც და ქარის ძალა საშინელი უნდა იყოს, რადგანაც იგი იმდენად შეტია, რამდენად შეტ ზედა პირს აწვება. როგორც ვიცით, ზღვაში ეს ქარი ადვილად ამოქრავებს უზარ-ზაზარ გემებს, იმიტომ რომ მათზე ამართულია იალქნები, რომლებსაც იგი აწვება. ხის ფოთლებიც რომ უდრევლივ ქარს აყუდებული ჰქონდეთ, ვერც ერთი ხე ვერ გაუძლებდა იმ ძალის, რომლი თაც ქარი შიაწვებოდა იმპატიარი იალქანს. საბედნიეროდ ხეს ისე იქნა გაწყვობილი ფოთოლი, რომ მას ქარი ძალიან ცო-ტი ძალის აძლევს: რაიგანაც ფოთლის ზეეითა პირი შისკენ არის მიშვერილი, იმიტომ ქარი, რომელიც უბერავს მიწის სწორ, ფოთოლს გვერდზე უვლის. ქართან პრიორულაში ხეს ებმარება ფოთლის გრძელი ყუნწიც საითკენაც უბერავს ქა-რი, ეს გრძელი და მკერივი ყუნწიც იქით იხრება, და პატა-რა ფლიუგრისავით იქერს ფოთოლს იმ ნირიად, რომ ქარი ძალის ვეღარ ატანს. ასე ებრძევან ქარს ილვის ხე ვერხვი ცაცხვი, ნაკერჩხალი და სხვა, რომელთაც პრტყელი ფოთო-ლი და გრძელი ყუნწი იქვთ. გრძელი ყუნწი რომ არ ინა-ხავდეთ მათ, ქარი დაკმუქნიდა, დახვედა ფოთოლს. შეტად-აკ მაშინ, როცა ქარი ერთბაშად პირს იბრუნებს ხოლმე.

აღმოსავლეთ საქართველოში მოშეტებული ხეები ზამთ-რობით ფოთოლს ჰქონდავენ. უმთავრესი მიზეზი ამ მოვლე-ნისა ის არის, რომ ფოთოლი ზამთრობითაც წყალს დახარ-

ჯავდა, ფეხვები კი ამ საქორო წყალს ვერ მიიწვდიდა, მაგრამ არ მიიღო. განაც ნიაღაგი ამ დროს გიყინულია ხოლმე. ფოთლის მოშორება ზამთრობით სხვა ნიაღალაც სასარგებლოა ხისათვის: ფოთოლზედ თოვლი შედგებოდა და თავის სიმძიმით ტოტებს დაულეწავდა. თუ დიდი თოვლი მოვიდა იმ დროს, როცა ხე ისევ ფოთლით შემოსილია ტყეს დიდი ზარალი ეძლევა: ხეებს ემტვრევათ ტოტები, ან მიწამდისინ იხრებიან და ღერო ემტვრევათ. ნააღმდევი თოვლი ძალიან საშიში არის, შეტაღე ისეთ პრტყელ ფოთლიან ხისათვის, როგორც არის, მაგალითად, ნაკერჩხალი, ლელვი, წიფელი და სხვა.

ზოგიერთი ხე რომელიც ცივ ალიგას ჰერგევს ფოთოლს, თბილ ქვეყნებში ზამთრობითაც იჩინს ფოთოლს. მაგალითად ისაძმინი აღმოსავლეთ საქართველოში ზამთრობით ჰერგევს ფოთოლს, ფოთში კი ზამთარ ზაფხულ ზაფოთლილია. არიან ისეთი ხეებიც რომელნიც რაც უნდა თბილ ქვეყანაში გადიტანოთ, აუცილებლივ ეძლევიან ჩვეულებრივ ზამთრის ძილს. აფრიკის დასავლეთით არის კუნძული მადერა, რომელზედაც მუდმივი ზაფხული, ანუ უკეთ გაზაფხული დგას: ამ კუნძულზედ—გადარგულია ზოგი ერთი ჩვენი ტყის ხეები. ასტყალდ გეიერმა შენიშნა, რომ ამ ქვეყანაში მუხა და წიფელი წელიწადში ერთხელ ეძლევა ზამთრის ძილს აუცილებლივ ჰერგევს ფოთოლს, და ამ დროსკე გარშემო ზაფხული დგას, თუმცა ამ ხეების ძილი იმ ქვეყანაში უფრო მოკლეა, მინამდისინ ჩვენში. ზამთრის ძილი მათ ისე დასხემებიათ, რომ ეს მოვლენა სამკვიდროდ გაიტასცემიათ.

მთის მაღალ აღგილებზედ კაცი ხშირად შეხვდება ბუჩქებს, რომელნიც არა ჰერგევენ ზამთრობითაც ფოთოლს, მაგ. დეყა (*Rhododendron caucasicum* Poll). მთაში მოკლე ზაფხული იცის ხოლმე, ისე რომ ბუჩქი ყოველთვის შემოსილია ფოთლებით, რათა მუდამ წიბის მზად იყოს მოკლე ზაფხულის მზის სხივით ისარგებლოს.

სოლ. ქურდიანი

(შემდევი იქნება)

# მისამართი

ტროადის ომი

ფიცის გარება

პენელოპის სწორედ იმ დროს, როცა პარისი და ელენე სასხლეში მწუხარეთ ცრუმლებს აფრქვევდნენ, გააფირებული ლომივით დარბოდა ბრძოლის ველზედ თავის მოსისხლე მტრის საღმე შესაგულებლად. მაგრამ არც ტროადელებმა არც აქველებმა არ იცოდნენ, სად იმალებოდა ამ დროს ძლეული პარისი. ტროადელები დიდის სიამოვნებით გზას უჩვენებდნენ მენელოპის, რომ მართლაც სკოდნოდათ, სად იმალებოდა ამ დროს მათი შემარცხევენელი პარისი. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ტროადელებმა ჭირივით შეიჯავრეს მტრისაგან სამარცხეინოთ ძლეული, სამშობლოს დამლუპველი და მშობერებელი პრიაშოსის ვაჟი.

ელლინთა მხედრობის მთავარ სარდალშა იგამემნონმა ბოლოს იღამილი თავისი მრისხანე ხმა და ქსეთის სიტყვებით მიმირთა მხედრობას: „მომისმინეთ, ტროადელებო და აქველებო! ყოველ ქას გარეშე, რომ გამარჯვება მენელოპის უნდა დაულოცოთ. ამიტომ ტროადელებო, წინადადებას გაძლიერო დაგვიბრუნოთ მშვენიერი ელენე და ყველა ის სიმღიდრე, რომელიც პარისში ქურდულიდ წამოილო მენელოპის სახლიდან, დაუყონებლივ გადაგვიხადოთ აგრეთვე ის ჯარიმა, რომელიც თქვენ იღვეთქვით!“

ელლინთა მხედრობამ თავის მთავარ სარდლის წინადადებას მხარი დაუკირა და აღტაცებულის ყიფინით გამარჯვება მიულოცა მამაც მენელოპის.

ცველა ღმერთები შეიკრიბნენ ოლიმპზედ და თანაბრძონენ მათ გამართეს იმის შესახებ, მოყვანათ სისრულეში ის ხელ შეკრულება, რომელიც ფიცით დასდეს ტროადელებმა და აქეველებმა, თუ კვლავ განეკრძოთ შულლი და მტრობა ამ თა სამკუდრო სასიცოცხლოდ მებრძოლ ხალხთა შორის. ჰერო ქალღმერთი გადაქრიც წინააღმდეგი იყო თმის გათავებისა და ყოველ გვარ ღონისძიებას ღებულობდა ელლინთა მხედრობას გაენადგურებინა ილიონი.

ჰერიმ მოიმხრო ღმერთების მამათმთავარი ზევსი და იმის შემდეგ ცველამ თითქმის ერთხმად გადაწყვიტეს თმის გაგრძელება. ღმერთების სურვილი იყო ტროადელებს დაერლვიათ ფიცით დადებული ხელ შეკრულება და ამნიორად კვლავ ზეტეხნათ სამკუდრო სასიცოცხლო თმი. ამ აზრის სისრულეში მოსაყვანათ ღმერთებმა ტროადელების ბანაქში გაგზვნეს ათინა ქალღმერთი და დავალეს მოეწყო საქმე ისე, რომ ტროადელებს დაერლვიათ ფიცით დადებული ხელ შეკრულება.

ელვის სისწრაფით დაეჭვა ათინა ქალღმერთი ოლიმპის სიმაღლიდან. ქალღმერთამ მიიღო მამაცი მეომრის სახე და გამოცხადდა ტროადელების ბანაქში, საცა დაუყონებლივ მოსძებნა ტროადელების დასახმარებლად მოსული დახელოვნებული შვილდ ისრის მსროლელი პინდარი. ათინა ქალღმერთამ ესეთის სიტყვებით მიმირთა პინდარს: „ლიკაონის მამაცი და დიდებულო შეილო! სტყორუნე შენი მსწრაფუმსროლელი ისარი ელლინთა მხედრობის გულადს და მამაც სარდალ მენელაოსს იცოდე, რომ მთელი ტროადის მკეიდრი სამუდამოთ მაღლობელი დაგრჩება! პარისის სიხარულს ხომ საზღვარი არ ექნება! პრიმოსის ვაეკი ესეთის სამსახურისათვის უხვილ დაგაჯილდოვებს. მაშ, პინდარ, რაღმას ელოდები! თუ ჩემი რჩევა მოგწონს და მისი ასრულებაც შეგიძლია, სტყორუნე მძლავრად ისარი მეფე მენელაოსს!“

ათინა ქალღმერთის ჩჩევის მართლაც დასთანხმდა გულუბრუკვეილო პინდარი. ლიკაონის ვაჟმა მაგრად მოიმარჯვა ხელში ელვის სისწრაფით მფრინავი მშეილდ ისარი და ელლინთა

შეცრობის წინამძღვრლს მეფე მენელაოსს დაუმიზნა. შეგრად ნატყორცნმა ფრთიანმა ისარმა შერდულივით გააპო ჰევრი და ზუზუნით მენელაოსისაკენ გაემართა. ათინა ქალღმერთიმ ფარველობა იღმოაუჩინა მეფე მენელაოსს და სასიკედილოთ არ გაიმეტა. პინდარის მიერ მარჯვედ ნასროლი ფრთიანი ისარი ათინა ქალღმერთის შთაგონებით მენელაოსს ჯავშნით შექვე- დილს სარტყელში მოხვდა. პინდარის ბოლოწვეტიანმა ისარმა მაგრად შეგლოჯა სარტყელის ორკეცად შემოჭედილი ჯავშნი, ორად გაგლიჯა თეთო სარტყელი და ელლინთა მამაც რაინდს სხეულზედ კანი გაუკაშრა. წითელმა ან კარა სისხლმა შადრე- ვანივით იქნეფა მენელაოსის დაკრილს სხეულიდან.

ელლინთა შთავარ სარდლის აგამემნოს და დანარჩენ სხვა თავადების შწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მათ და- ინახეს სისხლით შეღებილი მენელაოსი. აგამემნონმა შწუხა- რედ ხელი დაუკირა მენელაოსს და ესეთის სიტყვებით მიმირ- თა: „მშოთ, განა შენდა“ სასიკედილოთ შევკარით ჩვენ კავში- რი და ფიცით დავადასტურეთ ესეთი კავშირი! განა შესაძლე- ბელია ესე უსირტხვილოთ ფიცის გატეხი! ხელშექრულების თანხმიდ განა შენა და პარისი არ უნდა შებრძოლებოდით მარტოთ მარტო ერთი მეორეს! მაგრამ არა უშევს, ცისა და ქვეყნის მპყრობელი მაღალი ზევსი სამიგიროს მიუძღვნის მათ, ვინც ფიცი ისე უსირტხვილოთ გასტეხა და ვინც ესე- თი შწუხარება მოგვაყენა. მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ შორს არ არის ის დღე, როცა მოელი ტრიადა განადგურდე- ბა, დაემხობა და მასთან ერთად მეფე პრიამოსი და ილიონის დანარჩენი თავადები. ცისა და ქვეყნის მპყრობელი მაღალი ზევსი კეშმარიტად რომ სასტიკად დასჯის ფიცის გამტეხე- ლებს. ჩემთ საყვარელო ძმოთ, იცი როგორი უბედურება დასტრიალდება ჩვენს თავზედ, როგორი განუსაზღვრელი შწუ- ხარება შეგვიძყობს, რომ ამ შენმა კრილობამ მიმსვერპლოს!“

ამ სიტყვების შემდეგ დაუყონებლივ მოიწვიეს ექიმი მა- ხონი, რომელმაც მენელაოსს კრილობიდან ამოუღო ისარი,

ჩამობანი სხეულიდან სისხლი და სურნელოვანი წამილი და-  
ღდო ჭრილობაზეც.

მენელოსის დაქრის შემდეგ ტროადელების და იქვე-  
ლების მხედრობა ომისათვის საზადისს შეუდგა, ორთავე ბა-  
ნიკში მეომრები ფირცხლად იარაღში სხდებოდნენ. ელლინ-  
თა მხედრობის მთავარ სარდალი იგამემნონი თვითოვეულს  
მეომარს ამნევებდა და სამკუდრო-სასიცოცხლო ომისაკენ  
იწვევდა. შეიარაღებული მხედრობა წყლის ნაპირას მოვარ-  
დნილ ზეირთებივით აწყდებოდა დანიშნულს ადგილის და სა-  
ბოლოოთ გადაწყვეტილი ჰქონდა ან სიკვდილი ან და მტერ-  
ზედ გამორჯვება. შეიარაღებული მეომრები მდუმარეთ მიე-  
შურებოდნენ ბრძოლის ველისაკენ. მთელს მხედრობაში სა-  
მარისებური სიჩუმე გამეფებულიყო. ამ იდუმალ და საშიშარ  
სიჩუმეს ხან-გამოშევებით დაარღვევდნენ ხოლმე მთავარ სარ-  
დალი და რაზმების სარდლები რომელნიც ამა თუ იმ ბრძა-  
ნებას აძლევდნენ ომის თავდარიგის დასაკერად. სულ სხვა  
წესზედ ირაზმებოდა ტროადელების მხედრობა. თვით ტროა-  
დელებისა მათი მოკევშირე ერების მეომრები თასს სხვა და  
სხვა ენაზედ; ყვირილით და ხმაურობით მიისწრაფოდნენ ბრძო-  
ლის ველისაკენ. ყვირილისა და ხმაურობისაგან ყურთა სმენა  
არ იყო. ტროადელების მხედრობას ამ დღეს წინამძღვრობდა  
ომიანობის ღმერთი კაცთა დამღუპველი და სისხლის მწოვე-  
ლი არეი, ხოლო აქველების მხედრობას კი ათინა ქალ-  
ლმერთი. ორივე ღმერთს, მეომრის სახე მიეღოთ და ისე ამ-  
ნევებდნენ მოწინააღმდეგე ლაშქარს.

საომრად გამზადებული მოწინააღმდეგე ლაშქარი სიბ-  
კედრო სასიცოცხლოთ პირისპირ წარსდგა. მხედრობის მოძ-  
რაობით დედამიწა ზანზარებდა.

მთავარ სარდლებმა ბრძანება გასცეს ომი დაეწყოთ. სა-  
შინელს სურათს წარმოადგენდა ამ ღრაოს ბრძოლის ველი.  
ლომსავით გააფრიებული მეომრები თავდავიწყებით ერთი მეო-  
რეს შეეჯანენ. გატიტვლებულ ბარს ხმლებს ბკუყრიალი  
გაჰქონდა ჰაერში, ისრების ზურზუნი შორს, შორს ყურთა სმე-



## ଶାସାରତଙ୍କବି

(ଶାଶିରମନ୍ଦିରରେ ଲାଖ କାନ୍ଦୁଲାଙ୍କାଳିକାରୀ)

ହାମିମିତିଯାଏ, ରାପ ରାମ ପ୍ରମଦେ,  
ପ୍ରସ୍ତରା ପ୍ରେଲାଭର ସେବିଲୋ ଫରିନ୍ଦ୍ରୀପ୍ରେଲୋ,  
ତା ମାତମେ ମନ୍ଦ୍ରମ୍ଭର ରାମମେଲିପୁ ପଥକିଲେ,  
ଗୁଣ ଗୁଣବା ସିର୍ପୁଜା ବିନ୍ଦୁପ୍ରେଲୋ.

ରାମାପ ଶାର-ନିରିଦିତ ଧିଶ ପାତ୍ରପ୍ରେଲୁପ୍ରେନ୍,  
ରାମ ମନ୍ଦ୍ରମ୍ଭର ବେଳମ୍ଭେ ମିନଦରାରି, ପ୍ରେଲୋ,  
ନୀ ମେନର୍ଦୀ,—ମିତିତି ବାହିନୀ  
ବେରଙ୍ଗି, ପାନ୍ଦେବି, ତେବେଳି ପ୍ରମେଲୋ.

ଦାଲିଲେ ରାମ ମନ୍ଦ୍ରମ୍ଭେ ବିନ୍ଦୁପ୍ରେନ୍, ଏହି କାପିଞ୍ଚେନ୍,  
ମେଲାମେ ନିଃ ନିଃ ଏହିଲେ ମେଲାମେଲୋ...  
ଏହିଲେ ମିନ୍ଦ୍ରୀପ୍ରେନ୍, ଏହି ଏହିଲେ ମିନ୍ଦ୍ରୀପ୍ରେନ୍,  
ଏହିଲେ ମନ୍ଦ୍ରମ୍ଭେ ବିନ୍ଦୁପ୍ରେନ୍ ଏହିଲେ ମନ୍ଦ୍ରମ୍ଭେଲୋ?

ମନ୍ଦ୍ରମ୍ଭେ ଗୁଣ, ଲାଲିତ ରାମ ମନ୍ଦ୍ରମ୍ଭେ  
ମନ୍ଦ୍ରମ୍ଭେ ଏହି-ମାର୍ଗେ ପ୍ରମରାଳୀ ଫ୍ରେରି;  
ତିତକ୍ଷଣ ଲାଲାମଦା, ମନ୍ଦ୍ରମ୍ଭେ ମନ୍ଦ୍ରମ୍ଭେ  
ନ୍ଯେନ ମାର୍ଗ-ବେଳିଲେ ପ୍ରମେଲିପ୍ରେରି!

## ଶାଲକାଶିର ଲମ୍ବଶି

(ଶାଶିରମନ୍ଦିରରେ ଲାଖ କାନ୍ଦୁଲାଙ୍କାଳି ମିନ୍ଦ୍ରୀ)

ଶାଶିରମନ୍ଦିର ଲାଲାମଦା,  
ପାଲମନ୍ଦିରକାରୀ ମନ୍ଦ୍ରମ୍ଭେଶାର,

შიგ კვესივით აკვესებდა,  
თითქმ ისროლნენ ქვებსაო.  
ლავეჯექით, პირჯვარს ვიწერდით,  
ვეხვეწებოდით ღმერთსაო;  
„მალლიდან არა დაგვცე-რა,  
ნუ აგვიტირებ ბედსაო“!  
მიდამო წყალით იცისო,  
მოაწეა მთიდან ხევსაო,  
ტლაპო და წუმპით გვიცსებდა  
გამართულ ოჯახებსაო.  
ფქვილის გოლრები ასწიო,  
ახილო ქვის და კლდესაო,  
შეგვიდგა წივილ-კივილი,  
შეებლავლეთ ერთმინეთსაო!...

## გ ა მ ი ც ა ნ მ პ ი

(ჩაწერილი სოფელ პახილში, პეტრე ივანეს ძე  
აბდუშელიშვილისაგან)

ღმერთმა მისთვის გამაჩინა  
თვალთ უჩინარი ხმიანი,  
ხმელეთი სულ დავიარო,  
ზღვაზედ გამქონდეს გრიალი,  
ზოგან ნატრობდნენ ჩემ მისვლას  
ზოგან დავტოვო ზიანი,  
და ვერავინ დამიტიროს,  
ათასიც დამხვდეს ხმლიანი.

## თვალთ მაჟცობა

უზალთუნი და ათ შაურიანი.



იოლეთ ძირ ვიწრო ფეხიანი ჭიქა და ჩააგდეთ შიგ უზალ-  
თუნი. ზემოდან დააფარეთ ათ შაურიანი. შემდეგ უთხარით

Յապսուրցքը լուրջ, զուսակ եղբայրներ, միություն է ուժուածքան Շնչալութեան  
ուսց, հոգ առ Արք Կոյքն ու առ Արք Պատրիա եցլո առ  
աթլուածք. Համապատասխան աթաւ Վերապետ ՅՈՒՆ  
աթաւալուց մասն.

ჰაშინ თქვენ მიუხსოვდით კიქის და უც-  
ბად, ლონიქრად დაძეგრეთ ათ შაურიანს. ეს  
უკანასკნელი უცბად აყირივდება, შემოჰკრის  
გვერდს უზალთუნს და ამოაგდებს კიქიდგან.  
უზალთუნი ისევ მაგიდაზე დაეცემა, ხოლო  
ათ შაურიანი კიქაშივე დარჩება.



૬૦૮૭૮



## \* გ ი გ ლ ი ყ ბ რ ა ზ ი ა \*

ბ-ნი ავალითის შუცენიერი თარგმანი: პატია და მუნგ-ლია—დააკმაყოფილებს ბაეშვის, წმინდა გრძნობას სიყვარულისას გაუღვიძებს და გააცნობს სუსტიან ზამთარს სამხრეთისას. შეგ ხელოვნურად, სურათებად არის გამოხატული მასწავლებლისა და მოწაფის განწყობილება, სიღატაკე რუსეთის სოფლებისა, ბაეშვის თავდაეიწყებული სიყვარული დედისა და დაძმისადმი და სხვა...»

შინაარს და მხატვრობითს ნიჭს ავტორისას დაუმატეთ წმინდა ქართული ენა მთარგმნელისა და რჩევაც არ გინდათ მიაწოდოთ ეს წეგნაკი ყოველ ბაეშვს.

ნ. ლორთქიფანიძე

---

# მინისტრის ხელის მოწერა

1908 წლის იანვრიდან 1909 იანვრამდეს.

საუმარტვილო სურბობიანი ეურძალი

## ნ ა კ ა ღ ც ლ ი

(წელიწადი მეოთხე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

**24** წიგნი ეურძალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვეის

**12** წიგნი ეურძალი „ნაკადული“ მოზრდილთათვეის.

პრემიები: 1-ლი, „1908 წლის კედლის კალენდარი 12-ი სურათით“. 2-რე, „თომას თავისადასავალი“ მარკტვენისა.

ხელის მოწერა მიღება:

1) „ნაკადულის“ ჩედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9 — 2 საათ., სამშიბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვეს გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის შალაზიაში, სასახლის ქაჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი რუნალისა დამატებით, ესე იგი 36 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხ. ავს ხელის-მომწერი:

ვისაც ეურძალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ან ურედაქციის

ვინც მასალის გამოგზავნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: მ. ი. დემურია.

გამომცემელი: თავ. პ. ი. თუმანიშვილი.